



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №6. ივნისი. 2014.

st i q i a m S e m o g v i t i a

ედიშარ ჩავლიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

„ჩვენ ოპერატიულად მოვიწვიეთ კონტრაქტორი საპროექტო ორგანიზაცია შპს „საბა“, რომელმაც 2 ივნისს დაგვიმზადა დაზიანებული სახურავის შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, დაზიანებული სახურავის აღდგენითი სამუშაოების გამართვებული შესყიდვის საშუალებით შეძენის თაობაზე თანხმობის თხოვნით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ოპერატიულად მივიღეთ შესაბამისი თანხმობა, რის შემდეგაც ბაზრის კვლევის საფუძველზე იმავე დღეს გავაფორმეთ ხელშეკრულება შპს „ვექტორთან“.

ვინაიდან მეტეო პროგნოზით მოსალოდნელი იყო

მიმდინარე წლის 30-31 მაისს, გვიან ღამით, უეცრად მოვარდნილი ძლიერი სტიქიის შედეგად დაზიანდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსის სახურავი მთლიანად (1204 კვმ) და სტუდენტთა საცხოვრებლის სახურავის ნაწილი (116 კვმ), რომელიც მწვანე კონცხზე მდებარეობს. ასევე დაზიანდა იქვე მდებარე სპორტდარბაზის სახურავის ნაწილი (57 კვმ). მთლიანად აღდგენითი სამუშაოები 10 ივნისს დასრულდა, რისთვისაც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 41833 ლარი დაიხარჯა.



ძლიერი წვიმა, პარალელურად ვმუშაობდით სტუდენტთა საცხოვრებლის დროებით გადახურვაზე, რომლის სახურავი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შედარებით მცირე ფართობზე (116 კვმ) იყო დაზიანებული და შესაძლებელი იყო მისი დროებით გადახურვა; ხოლო ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების შენობა შედარებით ნაკლებად სახიფათო მდგომარეობაში იყო, დაზიანებული სახურავის ქვეშ არსებული ძველი ჰორიზონტალური გადახურვის გამო, თან 1204 კვმ-ს ჩვენი ძალებით ვერ გადავხურავდით. შევისყიდეთ ე.წ. ტენტი და ჩვენი ძალებით გადავხურეთ სტუდენტთა საცხოვრებლის შენობა. აღნიშნული სამუშაო პირველ ივნისს, დაღამებულს დასრულდა.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტ **ონისე ბაბაჩავას**, ასევე სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტ **დავით კონცელიძის** თავდაუზოგავი მონაწილეობა. საკვირველი და ამასთან ერ-

თად საოცარი და ერთგვარად საშური იყო მათი მიერ გულთან ასე ახლოს მიტანილი თანადგომა. როგორი მონდომებითა და რუდუნებით შრომობდნენ ბიჭები ჩვენთან ერთად ძლიერ ქარსა და წვიმაში. კარგია, როდესაც ასეთი ღირსეული და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული თაობა ეზრდება ქვეყანას. ისინი თავიანთი ინიციატივით შემოგვიერთდნენ და ტოლს არ გვიდებდნენ გარჯაში. მათ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა აქვთ გასაველელი, ჩანს რომ შრო-

თიეშურ გოგიტიძის, გურამ არქენაძის, ანზორ ჯაბანიძის, მამუკა ჯიჯავაძის, ავთანდილ გორგილაძის, დავით ჯაბანიძის და ბენად აბულაძის, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით - თავგანწირული და დაუზოგავი გარჯა დროებითი სახურავის მოწყობის დროს. ამ ყველაფრის თვითმხილველი და მონმე თავად გახლდით და მინდა მათ მადლობა გადავუხადო. ასევე არ მინდა გამომჩინე ჩვენი უნივერსიტეტის



მისმოყვარეობით, მონდომებით და გაჭირვების დროს მოყვასის გვერდში დგომით ბევრს მიაღწევინებთ ცხოვრებაში. სწავლაში წარმატებებს გისურვებთ ბიჭებო და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

ასევე მინდა გამოვყო ჩვენი თანამშრომლების

დაცვის თანამშრომლის, **რომან სოზრავანიძის** დროული და ოპერატიული რეაგირება, რომელმაც ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ბუს-ს 5 სართულიანი კორპუსის სახურავზე დროულად აღმოფხვრა მცირე დაზიანებები.“

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)





საჯარო ლექცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულ „უმალესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის (საჯარო ლექციები) ფარგლებში, ა.ნ. 3-4-5 ივნისს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჯარო ლექციები წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა.

ლექციების თემატიკა ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს, როგორცაა: ანტიკური კულტურის მწვერვალები, ევროპის იდეა ანტიკურობასა და თანამედროვეობაში, ლეგენდარული კოლხეთი ბერძნულ-ქართული მიმართებების კონტექსტში. გათვალისწინებული ლექციების შემოკლებულ ვარიანტებს:

ანტიკური კულტურის მწვერვალები

ანტიკური კულტურის მნიშვნელობა ცივილიზაციის ისტორიაში საყოველთაოდ არის ცნობილი. ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ცივილიზაციებიდან დაწყებული გვიანანტიკურობამდე მან განვითარების საინტერესო გზა გაიარა. თანამედროვე აუდიტორიის წინაშე სხირად ისმის ასეთი კითხვა: ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ვერგილიუსის, მირონის, ფიდასის, პრაქსიტელესა და სხვა ანტიკური ხანის მოღვაწეების გენიალობაზე მსჯელობისას ხომ არ ვუნვეთ ჩვენ ანაგარიზს იმ გარემოებას, რომ ისინი ჩვენგან დროში დიდი მანძილი იყვნენ დაშორებულნი. შესაბამისად, ისინი გენიოსები იყვნენ თავიანთი დროისათვის და, რასაკვირველია, მათ მიმართ დამოკიდებულება თანამედროვე ეპოქაში რამდენადმე განსხვავებული უნდა იყოს. საჯარო ლექციაში ნაჩვენები იქნება, თუ რა კანონზომიერება ახასიათებს მხატვრულ კულტურას, თუ რამდენად არ ექვემდებარება იგი ევოლუციის ელემენტარულ კანონებს და რატომ შეიძლება იყვნენ ჩვ. წ. აღ.-მდე მოღვაწე ხელოვანი ყველაზე უფრო მომთხონი თანამედროვე აუდიტორიისთვისაც შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის თვალსაზრისით სანი-



მუშონი. ლექციაში ყურადღება შეჩერდება ანტიკური მხატვრული კულტურის მწვერვალებზე განვითარების სულ სხვადასხვა (კიკლადურ, მინოსურ, მიკენურ, არქაულ ბერძნულ, კლასიკური ბერძნულ, ელინისტურ, რომაული ბატონობის) ფაზაში. საილუსტრაციო მასალის ნაჩვენებია იქნება ამ ეპოქების მხატვრული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები და განიმარტება მათი უნივერსალური მხატვრული ღირებულება.

ევროპის იდეა ანტიკურობასა და თანამედროვეობაში

თანამედროვე მსოფლიოში დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როდის წარმოიქმნა პირველად ევროპის იდეა იმ გაგებით, რაც მისაღებია დღევანდელი მსოფლიოსათვის, ევროპა გეოგრაფიული ცნებაა, თუ მხოლოდ იდეაა - ანუ მხოლოდ ღირებულებათა სისტემა. ლექციაში ნაჩვენები იქნება, თუ რამდენად სრულყოფილად ჩამოყალიბდა ანტიკურ სამყაროში შეხედულება ევროპულ იდენტობაზე, რომელიც იმხანად გათანაბრებული იყო ელინურ იდენტობასთან. პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმულ ერთ-ერთ უმშვენიერეს სიტყვაში, რომელიც თუკიდესთან არის დამონებული, პერიკლე ძალზე ზუსტად აყალიბებს იმ პრინციპებს, თუ რა უნდა განსაზღვრავდეს ათენურ, შესაბამისად, ელინურ და, გარკვეული თვალსაზრის-

სით, ელინური სამყაროს არეალში მოქცეულ ევროპულ იდენტობას. ყურადღება შეჩერდება იმ ნიშნებზე, რომლებიც იძლევიან პასუხს კითხვებზე: როგორი უნდა იყოს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის საზოგადოება, პიროვნება და სახელმწიფო. საკმარისია, თვალი გადავავლოთ ევროპის იდეის ფორმირების მთელ ისტორიას, რომ ნათელი გახდება, თუ რა მკვეთრად იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში შეხედულებები ევროპული იდენტობის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ იდეამ ახალი სიცოცხლე შეიძინა, ხოლო XXI ს-ში მოხდა იმ პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ევროპული იდენტობა. საკმარისია, შევადაროთ ჰაბერმასის და დერიდას, მაკკორმიკის კრიტიკურუბები ძვ. წ. ა.-ის V ს-ში პერიკლეს მიერ ჩამოყალიბებულ კრიტიკულ მემბს, რომ ნათელი გახდება, თუ რამდენად სრულყოფილად განსაზღვრა დემოკრატიულმა ათენამ ის, თუ რა უნდა იყოს ევროპულ ღირებულებათა სისტემის საფუძველი.

ლეგენდარული კოლხეთი ბერძნულ-ქართული მიმართებების კონტექსტში

კოლხეთი ანტიკურ სამყაროში, უპირველეს ყოვლისა, ცნობილი იყო როგორც ქვეყანა, სადაც არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისისათვის. შესაბამისად, არც ძველ ბერძენ და რომაელ

ავტორებს არ გაუხდიათ საკამათოდ ის, თუ სად მდებარეობდა მეფე აიეტის სარეზიდენციო ქალაქი, საიდან იყო წარმოშობით მეფე და სად ილაშქრეს არგონავტებმა პელიასის ვერაგული დავალების შესასრულებლად. თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში საკმაოდ ძლიერია ე. წ. სკეპტიკოსთა ფრთა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უძველეს ბერძნულ წყაროებში აიეტის ქვეყანა აია შავიზღვისპირეთის აღმ. სანაპიროზე კი არ მოიაზრებოდა, არამედ სადაც სხვაგან აღმოსავლეთით. ამის ძირითად არგუმენტებად ისინი მიიჩნევენ იმას, რომ ჰომეროსი და ბერძენი ავტორები გვიანარქაიკის ეპოქაში არ იცნობენ ჯერ კიდევ არ იცნობენ სახელწოდებას და ქვეყანას კოლხეთს. ზღაპრული აიას გაიგივება კოლხეთთან მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ბერძენმა კოლონისტებმა შავიზღვისპირეთში შემოაღწიეს და მათ მითოპოეტურ ტრადიციაში არსებული აიეტის ქვეყანა - აია - კოლხეთთან გაიგივეს. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევენ, რომ, მართალია, აიეტის ქვეყანა უკვე უძველეს წყაროებში სადაც შავიზღვისპირეთში მოიაზრებოდა, მაგრამ ეს იყო არა კოლხეთი, არამედ სკვითია ან ჩრდ. ანატოლიის რეგიონი. უკანასკნელ ხანებში რუსეთში თავი იჩინა ტენდენციამ, აიეტის ქვეყანა დააკავშირონ სოჭის მიდამოებთან, რაც საკმაოდ მკვეთრად გამოიხატა ცოტა ხნის წინ ჩატარებული სოჭის ოლიმპიადის დროს. ამ ცდების საპირისპიროდ მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს იმ არგუმენტების წარმოდგენას, რომელთა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არგონავტების ლაშქრობა უკვე თქმულების უძველეს ვერსიებში სწორედ აღმ. შავიზღვისპირეთში, კერძოდ, კოლხეთში მოიაზრებოდა. ამაზე მიგვითითებს: ჰომეროსის ეპოსის მონაცემთა, ლეგენდარულ კოლხეთთან დაკავშირებულ ტერმინთა დეტალური ანალიზი, ძვ. წ. ა. XIV ს-ის მიკენურ დოკუმენტებში კოლხების მოხსენიება, ამავე პერიოდის იოლკოსის მიდამოებში ისეთი არქეოლოგიური მასალის აღმოჩენა, რომელიც მიგვანიშნებს ბრინჯაოს ხანის საბერძნეთის კოლხურ კულტურასთან მიმართებაზე.


განათლების დოქტორის ანა გილ-გარსიას საჯარო ლექციის მონაწილეებს სერტიფიკატი გადასცეს



აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავაძაშვილმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოზა ბაკურიძემ განათლების დოქტორის, ანა გილ-გარსიას საჯარო ლექციის მონაწილეებს სერტიფიკატი გადასცეს. განათლების დოქტორმა ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისთვის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის ხუთდღიანი სემინარი ჩაატარა თემაზე: „კვლევის მეთოდები საგანმანათლებლო კლასში: განათლების გადაწყვეტილებათა მიღება მონაცემთა საფუძველზე“. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე როგორცაა: კვლევა საგანმანათლებლო კლასში, ემპირიული და ნორმატიული მიდგომები, კვლევის როლი პროფესიულ პრაქტიკაში, კვლევის რაოდენობრივი, თვისობრივი და შერეული მეთოდური მიდგომების განსაზღვრა, კვლევის გამოყენება საგანმანათლებლო პრობლემებთან მიმართებაში და შეფასებითი კვლევა. ანა გილ-გარსია 1974 წლიდან მოღვაწეობს დასავლეთ მიჩიგანის, კარაკასის, ქაიროსა და ილინისის უნივერსიტეტებში. საჯარო ლექცია აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმალესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა.

აქადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ რისმაგ გორდეზიანს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა. აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი ავტორია 140-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 26 წიგნის. გამოსაქვეყნებლად გადაცემული აქვს 100-მდე (ძირითადად ენციკლოპედიისათვის „ანტიკური კავკასია“) სამეცნიერო ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 40-მდე დისერტაცია. აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი მონაწილეობს პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში (იენა, ათენი, ლაიპციგი, მიტილენე, ბერლინი, მოსკოვი, ჰაიდელბერგი, ბოლონია, პერუჯა, პიზა, მალაგა და გრანადა). იგი არის საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (გფრ), ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი (გფრ) და Collegium Europeum-ის წევრი (გფრ).

ნაშრომებისათვის ჰომეროლოგიასა და ეგეისტიკაში 1970, 1972, 1973 წლებში აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანს მიენიჭა თსუ-ს პირველი, რესპუბლიკური და საკავშირო პრემიები. 2003 წელს იგი საქართველოს ღირსების ორდენით დააჯილდოვეს, 2008-ში საბერძნეთის ღირსების ორდენის კავალერი გახდა, ხოლო 2010 წელს პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენი მიიღო.

აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი არის ჟურნალ ფასისის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „კავკაზიკის“ რედაქტორი, ჟურნალ „რელიგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალ „ფილოლოგიის“ (გფრ) სარედაქციო საბჭოს წევრი 1994-2010 წლებში და საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ ხელმძღვანელი.

(დახაწყისი პირველ გვერდზე)

თეატრის გოგონები (სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის დირექტორი): „უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინა. რომ არა ერთიანი ძალისხმევა, შედეგები გაცილებით მძიმე და სავალალო გვექნებოდა. მთელი უნივერსიტეტი ერთ გუნდად დადგა სასწავლო კორპუსისა და საერთო საცხოვრებლის გადასარჩენად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი,

საცხოვრებლის მორიგე თანამშრომლები და სხვა პერსონალი ყველანი ერთად ჩავერთეთ სტიქიის წინააღმდეგ და არაფერს ვიშურებდით შენობა ბათუმური წვიმისგან გვეხსნა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თაოსნობით, ყველაფერი დროულად მოგვარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტიური მხარდაჭერა, რომლებიც ჩვენთან ერთად ფიზიკურად ჩაერთვნენ სტიქიასთან ბრძოლაში და სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები მთლიანი დატბორვისაგან გადავარჩინეთ. განსაკუთრებით მინ-



და გამოვყო სტუდენტები: ონისე გაბეჩავა და დავით კონცელიძე. უკვე ყველაფერი მოგვარებულია და ცხოვრება, რომ იტყვიან, ჩვეულ რეჟიმში აღდგა. ამჟამად უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში 40-42 სტუდენტი ცხოვრობს.“
როგორც სასწავლო, ისე საცხოვრებელ კორპუსსა და სპორტდარბაზში სტიქიით მიყენებული დაზიანებები აღმოფხვრილია. სტუდენტები ჩვეულ რიტმში აგრძელებენ მეცადინეობას. ასევე ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა სტუდენტთა საცხოვრებელი კორპუსიც, რომელმაც საკმაოდ ხიფათიანი

და რთული მეტეოროლოგიური გამოცდა ჩააბარა. ასევე სრული დატვირთვით მუშაობს სპორტდარბაზიც. ზემოთ ხსენებულ დაზიანებებში ხარვეზები აღმოფხვრილია.
ბათუმს ქათქათას არც მცხუნვარე და მწველი მზის სხივებისა უკვირს და არც თავსხმა წვიმების, შენობებიც შეჩვეულია თითქოს ამ ყოველივეს... ადამიანთა თანადგომა და გულისხმიერება, ხანდახან მცირეოდენი ყურადღებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ტვირთი შევიმსუბუქოთ, ცხოვრება გავიადვილოთ, რწმენა და იმედი შევმატოთ ერთმანეთს...




მამორანდუმი „სამედიცინო უორკორაცია ევექსის“ მმართველობის ქვეშ არსებულ კუთხის სასწავლო ცენტრთან



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მმართველობის ქვეშ არსებულ კუთხის სასწავლო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი ითვალისწინებს კუთხის სასწავლო ცენტრის ბაზაზე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კლინიკურ უნარ-ჩვევებში დახელოვნებასა და მედიკოსთა უწყვეტ პოსტდოქტორული განათლების ხელშეწყობას. ბსუ-ში მოქმედებს სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი, მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება და სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

ევროპის მდგრადი ენერჯეტიკის კვირეულის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბათუმის მდგრადი ენერჯეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმისა და „მერების შეთანხმების“ ევროპული ინიციატივის წარდგინება გაიმართა.

ლონისძიება მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. მერების შეთანხმების თბილისის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელმა გიორგი აბულაშვილმა და ბათუმის მერიის სტრატეგიული დაგეგმვის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსმა ლაშა ნაკაშიძემ სტუდენტებს კლიმატის ცვლილებთან დაკავშირებული პრობლემები, მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, ენერჯის ეფექტური მოხმარების შესაძლებლობები და ქალაქის განვითარების პერსპექტივები გააცნეს.
ბათუმის მდგრადი ენერჯეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 2020 წლამდე ქალაქის ტერიტორიაზე საბაზისო სტანდარტთან შედარებით სათბური აირების 22 პროცენტით შემცირებას და კონკრეტული ღონისძიებების გატარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა: შენობები, ურბანული ტრანსპორტი, გარეგანათება, მუნიციპალური ნარჩენები, ჩამდინარე წყლები და გამწვანება.
2011 წელს ქალაქი ბათუმი შეუერთდა „მერების შეთანხმების“ ევროპულ ინიციატივას.



აღნიშნულ ინიციატივაში ჩართვით ქალაქ ბათუმმა აიღო ვალდებულება ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების ინვენტარიზაციის, მონიტორინგის, ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების, სატრანსპორტო, სამშენებლო და ურბანული განვითარების სხვა სექტორებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დაწესების ხელშეწყობით ქალაქის ტერიტორიაზე წარმოშობილი სათბური აირები მინიმუმ 20%-ით შემცირებას.
2013 წელს ქალაქი ბათუმი გახდა საერთაშორისო ასოციაციის „კლიმატის ალიანსის“ პირველი წევრი ქალაქი კავკასიის რეგიონიდან. აღნიშნული ასოციაციის წევრი-ქალაქების მთავარი მიზანია სათბური აირების შემცირება და ამ გზით კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერბილება.

სტუდენტთა სამედიცინო უორკორაციისა და რეფერალთა ნაშრომთა კონკურსის მონაწილეთა დაჯილდოება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამედიცინო კონფერენციისა და რეფერალთა ნაშრომთა კონკურსის მონაწილე სტუდენტები დააჯილდოეს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ედიშერ ჩავლეიშვილმა და სასწავლო პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანზორ ბერიძემ გამარჯვებულ სტუდენტებს ნარმატებები უსურვეს და სერტიფიკატები გადას-

ცეს. კონფერენციაზე 300-მდე სტუდენტის მოხსენება იყო წარდგენილი, რომელთაგან საუკეთესო ნაშრომები სტუდენტთა სამედიცინო შრომათა კრებულში დაიბეჭდება. რექტორის ინიციატივით, მომავალ წელს ბსუ სტუდენტთა რესპუბლიკურ სამედიცინო კონფერენციას უმასპინძლებს. სამედიცინო სესია სტუდენტთა სამედიცინო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.





ბავშვთა დაცვის დღე - პირველი ივნისი მრავალ ქვეყანაში აღინიშნება. ეს ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო დღესასწაულია. იგი დაარსდა 1925 წლის ჟენევის კონფერენციაზე, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობას ეძღვნებოდა. რატომ აირჩიეს ამ დღის აღსანიშნავად პირველი ივნისი? ერთ-ერთი ვერსიით, ამას უკავშირებენ ჩინელი პოლიტიკოსის სახელს. 1925 წლის 1 ივნისს სან-ფრანცისკოში ჩინეთის გენერალურმა კონსულმა შეკრიბა ჩინელი ობოლი ბავშვები და მოაწყო მათთვის დუან-უ ცზეს ზეიმი (ნავი-დრაკონების ფესტივალი). ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეს დღე დაემთხვა „ბავშვთა“ კონფერენციას ჟენევაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც აქტუალური იყო ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების საკითხი, 1949 წლის ნოემბერში, პარიზში შედგა ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც დაიდო ფიცი დაულაღვი ძალისხმევით, რათა შენარჩუნებულიყო მშვიდობა მთელს მსოფლიოში, რაც ბავშვებისათვის ბედნიერი ცხოვრების ერთადერთ გარანტიად შეიძლება ჩათვალიყო. ბავშვთა დაცვის პირველი საერთაშორისო დღე კი 1950 წლის 1 ივნისს აღინიშნა, რის შემდეგაც, ეს დღე, ყოველწლიურად არის მიჩნეული სადღესასწაულოდ. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.

ბავშვთა საერთაშორისო დღეს საკუთარი სიმბოლური დროა გააჩნია. მწვანე ფონზე (რაც ასახავს ზრდას, ჰარმონიას, სიხალასეს და ნაყოფიერებას) დედა-მინის (საყოველთაო სახლის სიმბოლო) ირგვლივ განთავსებულია სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურები (წითელი, ლურჯი, ყვითელი, შავი და თეთრი), რომლებიც ასახავენ მრავალფეროვნებას, მრავალმხრივობასა და მოთმინებას.

ეს დღე მნიშვნელოვანია საქართველოს-

ბავშვთა დაცვის დღე

თვისაც და ყოველწლიურად აღინიშნავენ. ბავშვებისათვის იმართება საქველმოქმედო, გასართობი ღონისძიებები, ტარდება სპორტული შეჯიბრებები. ბავშვებს უწყობენ სხვადასხვა სახის სიურპრიზებს უფასო ატრაქციონების, თეატრის, გამოფენის სახით.

ბავშვთა საერთაშორისო დღეს მხოლოდ გასართობი ხასიათი როდი აქვს, ეს დღე ახსენებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია ბავშვთა უფლებების დაცვა, რომ ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში, იყოს ბედნიერი, შეეძლოს სრულფასოვანი განათლების მიღება, საყვარელი საქმიანობის არჩევა და მუშაობა, რათა მომავალში თითოეულმა მათგანმა შეძლოს შესანიშნავ მშობლად და თავისი ქვეყნის საამაყო მამულოშვილად ჩამოყალიბება.

საინტერესოა თვით ბავშვების ემოცია, როგორ უხარიათ, რას გრძობენ, ან რის ნაკლებობას განიცდიან.

ქატი ბერიძე, 6 წლის - ამ დღეს მოუთმენლად ველი. მიხარია რომ ბევრ ბავშვთან ერთად ვთამაშობ, ვსეირნობ, ზოპარკს ვათვალთვლი. ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის, ამიტომ დედიკო და მამიკო ნებას გვაძლევენ,



რაც გვინდა ის გავაკეთოთ და ყველა სურვილს გვისრულებენ. ძალიან გამიხარდებოდა საჩუქრებსაც თუ დაგვირიგებენ და უფრო მეტი გასართობი იქნება.

მსგავსი სიტყვებით გამოხატეს ბავშვური ემოცია სხვებმაც, ამიტომ მაგალითისთვის ვფიქრობ ესეც საკმარისია, რომ გავიგოთ მათი აზრი. საყურადღებოა რას ფიქრობენ მშობლები?

ნინო ბორბაძე, 2 შვილის დედა - ძალიან მიხარია ამ დღეს ბავშვების გაბრწყინებულ სახეებს რომ ვხედავ ბავშვთა დაცვის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა განსაკუთრებულად აღინიშნავს. ჩვენი ქალაქი ბათუმიც ყოველთვის ახერხებს პატარების შეკრებას 6 მაისის პარკში, სადაც ბავშვებისათვის უფასოა გასართობი თამაშობები,



თუმცა მათი როდენობა მცირეა და ბავშვებს რიგში დგომა უწევთ, რაც დამეთანხმებით, დამღელვლია. ასევე ვათვალთვლებთ ზოპარკს, რომელიც ბოლო პერიოდში საგრძნობლად საინტერესო გახდა, ასევე დელფინარიუმს, სადაც სასიამოვნოდ ვატარებთ დროს. ეს ყველაფერი უფასოა ბავშვებისათვის, მაგრამ ვფიქრობ, ერთი რამ აუცილებლად გასათვალისწინებელია. ბავშვი მშობლის გარეშე ვერ შედის, მშობელს კი შესაძლებელია საკმარისი თანხა არ ჰქონდეს და თავი შეიკავოს, რის შედეგადაც ბავშვი იჩაგრება. ასეთ დროს სასურველია შეღავათიანი ფასები მშობელთათვისაც დანესდეს. ბავშვებს ასევე გაუხარდებოდათ თუ საჩუქრებსაც დაურიგებენ, თუნდაც კანფეტებს. ალბათ იტყვიან მთავარი საჩუქარი არ არისო, მაგრამ მათ ისეთი ასაკი აქვთ, რომ ეს უთუოდ გაახარებდათ. ძალიან კარგი იქნება თუ უფრო მეტი მრავალფეროვნება იქნება გასართობი ადგილების თუ ღონისძიებების სახით.



საინტერესოა იმის გაგება თუ რა ხდება ამ მხრივ სოფლებში? რას ფიქრობენ ამ დღესთან დაკავშირებით, როგორ აღინიშნავენ მას? როგორია მშობელთა დამოკიდებულება?



მარინა შხაძე, ოზურგეთის რაიონის, დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორი: პირველი ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რასაკვირველია, უნდა იყოს განსაკუთრებული და საზეიმო. საერთოდ, რაც ბავშვებთან არის დაკავშირებული, ყველაფერი გამორჩეული და საუკეთესო უნდა იყოს.



პირველი ივნისი საქართველოში წმინდანის ორმაგი დღესასწაულია. სოფელში, სამწუხაროდ, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ერთი ჩვეულებრივი კვირა დღე იყო. არ ვიცი მშობლების დამოკიდებულება ამ დღისადმი, ალბათ ნაკლებად არიან ინფორმირებულები. ვიცი, რომ ამის მიზეზია გულგრილობა. საზოგადოება უფროსხვაპრობლემითადაცაა დაკავებული. ვწუხვარ, რომამ მნიშვნელოვან დღეს არაფერი გამორჩეული არ ჩატარებულა ჩემს სოფელში. ამგვარი უმოქმედობა ძალიან მალონებს და მანუხებს, ამიტომ ვფიქრობ მომავალში აუცილებლად დღესასწაულს მოვუნყო ჩემს ბავშვებს, ისეთს რომ არასოდეს დაავინწყდეთ და ვიზრუნებ იმაზეც, სოფელშიც ტრადიციად ვაქციო ამ დღის აღნიშვნა“.

მასალა მოამზადა ნათია მხსარაძემ

ბავშვთა დაცვის დღის აღნიშვნის პროექტი „უნივერსიტეტი-სანარმო თანამშრომლობის გაძლიერება ახალგაზრდათა უსაფრთხოებისთვის“



ეფექტური, მდგრადი მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დანერგვების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას. კონფერენციაზე პროექტის მონაწილეებმა შეაჯამეს სამი წლის განმავლობაში წარმოებულ კვლევის შედეგები. ასევე განიხილეს ეკონომიკის სექტორთან თანამშრომლობის მდგრადობის მექანიზმები და დასახეს შემდგომი თანამშრომლობის გეგმები.

ტემპუსის პროექტში ჩართულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), კოვენტრის უნივერსიტეტი, საფრანგეთის გრენობლის აკადემია, ააღენის უნივერსიტეტი (გერმანია), უკრაინის მეტალურგიული უნივერსიტეტი, ჩერნივცის უნივერსიტეტი (უკრაინა), ოდესის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორისის უნივერსიტეტი (სომხეთი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სავაჭრო და სამრეწველო პალატები საქართველოდან, ბელგიიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან.

ტემპუსის პროექტის „უნივერსიტეტი-სანარმო თანამშრომლობის გაძლიერება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით“ ფარგლებში უნივერსიტეტში კონფერენცია გაიმართა თემაზე: „უნივერსიტეტების და სანარმოების თანამშრომლობა: სტრატეგიები და შესაძლებლობები სწავლების და კვლევის ეკონომიკური განვითარებისთვის“. პროექტი ითვალისწინებს მრეწველობის, ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორთან უნივერსიტეტის თანამშრომლობის

ბავშვთა დაცვის დღის აღნიშვნის პროექტი „უნივერსიტეტი-სანარმო თანამშრომლობის გაძლიერება ახალგაზრდათა უსაფრთხოებისთვის“

ბრიტანეთის ქალაქ ბორმუთის მერი როდნი კუპერი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე სტუმარმა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა ასევე ბრიტანეთისა და საქართველოს ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებზე. შეხვედრის დასასრულს, ქალაქ ბორმუთის მერმა როდნი კუპერმა ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.




გამოსმაურება

23 მაისს ჩვენს უნივერსიტეტში ჩვენივე თანამემამულის, ფილოლოგიისა და ისტორიკოსის ალი თანდილაგას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება და წიგნის- „ლაზური ლექსიკონი“-ს პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ფართო საზოგადოებამ უკვე იხილა, გაიმართა მისი წარდგინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ალი თანდილაგა დაიბადა 1913 წლის 28 ნოემბერს, სარფში. ის 1925 წლამდე სწავლობდა თურქულ სკოლაში, რადგან იმჟამად ქართული სკოლა არ იყო. 1925 წელს ქართულ სკოლაში განაგრძო სწავლა, 1928 წელს კი საბავშვო ახალშენში წასვლასთან დაკავშირებით გადავიდა კოჯრის სკოლა-ინტერნატში.

1932-37 წლებში ალი თანდილაგა მუშაობდა სარფის სკოლაში მასწავლებლად და გამგედ. 1937 წელს ჩაირიცხა თსუ აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. 1942-1949, შემდეგ 1951- 1973 წლებში კი მუშაობდა სარფის რვანლიანი სკოლის დირექტორად, ამავდროულად ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ბატონი ალი გახლდათ ქომაგი ლაზეთისა. კოჯრის სკოლა- ინტერნატში ჩასულ ყმაწვილს რამდენიმე ლაზმა ბიჭმა სიურპრიზი მოუწყო:



მათ ლაზურად გაუბეს საუბარი.მაშინვე გაუახლდა ჭრილობა, რომელიც თურქულ სკოლაში მიაყენეს მის სულს, გაახსენდა, როგორ ურტყამდნენ სახაზავს ლაზებს და აიძულდნენ დაევიწყებინათ ლაზური, თქვენ თურქები ხართ და თურქის შვილებიო...

შავით და წვევარამით მოსილი ჩვენი ისტორია, ბედუქულმართი ისტორია გადაიფურცლა ჭაბუკის თეთრად გათენებულ ლამეებში.

ლაზი ვარ და ლაზის შვილი... ძალუმად აძგერდა მისი გული...

ლაზი ვარ, ლაზი მე... დიდი გუბაზისა და ფარტაძის, დიდი ქუჯისა და აიეტის შთამომავალი, დიდი საქართველოს ფესვიო და ძირი, მაგრამ... ეს მერე მოვიდა, მოგვიანებით...

ამ საკითხის სიმწვავე ბატონმა ალიმ თავად გამოცადა. არ ეძინა მტერს და დაჟინებით ცდილობდა, სარფში ლაზური სკოლა უნდა გაიხსნას და არა ქართული, ლაზები ქართველები არ არიანო. მიზანი ცხადზე ცხადი იყო: საქართველოს დაქუცმაცება, რასაც წინ დახვდა მისი ერთიანობის ქომაგთა სულისკვეთება, ბატონი ალი ქართულს ასწავლიდა, ასწავლიდა ქართული ენის სიყვარულს და ვაჟკაცობას. ამ ყველაფრის ცოცხალი მაგალითიც თავად გახლდათ, რადგან თავად იყო ყოველი მოსწავლისთვის საზომი კეთილმოძიებისა, სინათ-

ლისა და სიკეთისა. ივანე ჯავახიშვილს ალალი გულით უძღვნა მთელ უნივერსიტეტში იმჟამად ერთადერთმა კოლხმა სტუდენტმა ლექსი:

აქ ხალხმრავლობის და მძლავრობის
ვყოფილვარ მონმე
და ვიმედოვნებ,
რომ ხელახლა ვიქნები როსმე...

ბატონი ალი ლაზეთის გადარჩენილი სულის ქომაგი გახლდათ. იგი არის თანაავტორი წიგნისა „ლაზეთი“, რომელიც ისტორიულ- ეთნოგრაფიული ნარკვევია. ისტორიულად ლაზეთი ხან ერთი იმპერიის ნაწილად იქცეოდა და ხან - მეორის, მასაც არგუნა ბედმა გოლგოთა... ლაზები დღემდე ცოცხლობენ, მართალია, ცოტანი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული არიან.

„იქ, პატარა სარფში, ორად გაყოფილ სოფელში ცხოვრობს დიდი სულის ერთი ნატეხი, რომელიც დარაჯად და ქომაგად დაუდგა ქართულ ენას, კულტურას, უშორეს წარსულში რომ იღებს სათავეს და მარად ახალი ენერგიით მოედინება საუკუნეთა წყვდიადიდან.“ - ვკითხულობთ ციალა არდაშელიას წიგნში. სწორედ ეს ორად გაყოფილი ქართული სხეული სტიკოდა ბატონ ალის, რომელმაც სტუდენტობაში ჩაიფიქრა ლაზური ლექსიკონის გამოცემა. ალი თანდილაგა 1949 წლიდან გარდაცვალებამდე 1985 წლამდე მუშაობდა „ლაზური ლექსიკონის“ შედგენაზე.

ლაზური უნდა განმენდილიყო თურქიზმებისა და ბერძინიზმებისგან, შემდეგ რომ შეჭრილა ძირძველ ქართველურ ენაში. სტუდენტობიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ალი თანდილაგა ლექსიკონზე. თურქეთში მცხოვრებ ლაზებთან საგანგებოდ აბარებდა, ცალკეული სიტყვის დაზუსტებას სთხოვდა. განუზომლად დიდია ამ საქმეში მისი მეუღლის, ქალბატონი კამელიას დამსახურება, რომელიც თავად მოგზაურობდა ვინე-არქაბეში და მეუღლის დანაბარებს პირნათლად ასრულებდა.

ლექსიკონის დანიშნულების შესახებ საგანგებოდ მსჯელობდნენ მისი შემდგენლები. ამ ლექსიკონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება თურქეთში მცხოვრები ლაზებისთვისო, -ასეთი იყო ქალბატონი ნათელა ქუთელიასა და ბატონი ალი თანდილაგას იდეა. ამ ჩანაფიქრში ენათმეცნიერული წყურვილიცაა საცნაური და ის დიდი პატრიოტული სულიც, რომელმაც დღემდე მოიყვანა ქართველი და ქართველობა დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ამ იდეის ხორცმესხმისა,

კიდევ ერთი ქართული წიგნის დაბადებისა, რომელიც სხვათაგან ბევრად განსხვავდება ფორმატით- იგი 23000 ლექსიკურ ერთეულს მოიცავს, იმითაც, რომ სიტყვა-სტატისას ახლავს მრავალფეროვანი მასალა, საილუსტრაციო წინადადებები თუ ფრაზები. ეს თითქმის 1000- გვერდიანი, სოლიდური გამოცემა ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართველი ხალხის სულიერ მემკვიდრეობაში. ქართულის მონათესავე მეგრულ, ლაზურსა და სვანურ ენებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ არქაული ქართული ენი სნიშნები. მათი ზედმიწევნით შესწავლა შესაძლებელს ხდის ქართული ენის განვითარების კანონზომიერებათა დადგენასა და, საერთოდ, ქართული ენის ისტორიის შესწავლას.

ჩვენი უნივერსიტეტის სახელით მადლობას ვუხდით ამ ღრმადკეთილშობილური იდეის სულის ჩამდგმელებს, ნაშრომის გამოცემაში მონაწილე ჩვენი დედაუნივერსიტეტის პროფესორებს: ბატონ მერაბ ჩუხუას, ლალი ეზუგბაიას და ბსუ-ს ასოცირებულ პროფესორს, ლილე თანდილაგას განუელი ღვაწლისთვის.

ნანა ციცილაძე,
ასოცირებული პროფესორი,
ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

რეაქორეაგა ინალუზიის დახლარაცისა მოანერეს ხალი

თბილისში, სასტუმრო „პოლიდეი ინ“-ში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიაუნის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - ჯიპას რექტორებმა ხელი მოაწერეს ინკლუზიის დეკლარაციას. შეთანხმების მიზანია ინკლუზიური განათლების დანერგვა განათლების ყველა ეტაპზე და სწავლებაში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა. პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთობლივად შეიმუშავენ და განახორციელებენ ინკლუზიური განათლების სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს.



უნივერსიტეტის ურსდამთავრებულთა საზიომო გაცვილაბა

საზაფხულო თეატრში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 79-ე საზიომო გაცვილება გაიმართა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ მანტიებში გამოიწვიოთ წარჩინებულ სტუდენტებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრება მიულოცა და სიგელები გადასცა. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ჩაველიშვილმა, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომისიის



თავმჯდომარემ გიორგი მასალკინმა, აჭარის სპორტისა ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერაბ ნაგერვაძემ, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ დავით თედორაძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ედიშერ ჩაველიშვილმა ახალგაზრდებს წარმატებები უსურვეს და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დააჯილდოეს. უნივერსიტეტი წელს 1044 სტუდენტმა დაამთავრა, მათგან წარჩინებული 46 კურსდამთავრებულია.

საზიომო გაცვილების ცერემონია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ალსაზრდელის, უნივერსიტეტის გოგონათა სიმღერის ფოლკლორული ანსამბლ „თირინის“, საესტრადო სიმღერის შემსრულებლების - იაგო ბუჟანდის და თამარ ცინარიძის, ლუკა ზაქარაიძისა და ჯგუფ „pick uppers“, თეო ჩიტოვილისა და გოგონათა როკ-ჯგუფის „Vanilla Cage“ კონცერტით დასრულდა.

თანაბარი შესაძლებლობების დაცვის ჯპირაული

თანაბარი შესაძლებლობების დაცვის კვირეულის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულ ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უმასპინძლა. ტემპუსის პროექტის ესპაიერის (ASPIRE) ეგიდით გა-



მართულ გასართობ-შემეცნებით ღონისძიებაში სხვადასხვა თაობის ინკლუზიური ჯგუფის მოზარდებმა მიიღეს მონაწილეობა და საკუთარი სახელოვნებო შესაძლებლობები წარმოაჩინეს. საღამოს დასასრულს ფრანები გაუწვეს, ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და ქალაქში ღია მატარებლით გაასაიერეს. ღონისძიება განათლების ფაკულტეტისა და აჭარის მუნიციპალიტეტების ორგანიზებით ჩატარდა.



თამაზ ფუტკარაძე

სიზმარში ნაკოვნი საქართველო (სტუმრად ინეგოლელ ჩვენებურებთან)

ძნელია ემოციის გარეშე ისაუბრო იმ ადამიანებზე, რომლებიც ისტორიული ბედულებათვის გამო თურქეთის პოლიტიკური საზღვრების შიგნით აღმოჩნდნენ. მათ თვალში აშკარად ჩანს ნოსტალგია და სამშობლოს დასწრებით გამოწვეული ტკივილი, რაც ვერ გაანელება დრომ და მანძილმა. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ენა, კულტურა, ტრადიციები, ეთნიკური თავისთავადობა. ახერხებენ კიდევ ამას, ქართულ გენს, ქართულ სულს ეფერებიან, ელოდიან და ამაყობენ თავიანთი „გურჯობით“. გურჯისტანის ხსენებაზე თვალზე ცრემლი ადგებათ მონატრებისა და სიყვარულის ნიშნად. ამ ხალხს ხატოვანად „ჩვენებურები“ ჰქვიათ. სიტყვა „ჩვენებური“ ქართულ მეტყველებაში მეგობარს, თანამოაზრეს ნიშნავს, უცხოეთში კი ეთნიკური კუთვნილება შეიძინა და თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის სინამდვილეში ქართველობის სინონიმად იქცა. ტრადიცია სავარაუდოდ XVII საუკუნეში უნდა დაეკვიდრებოდა, მაშინ როცა შამ აბასმა 400 ათასი ქართველი ირანში გადაასახლა და როცა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალების იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1877-1878 წლების ომის შემდეგ კი „ჩვენებურს“ საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი ქართველები ეძახდნენ ერთმანეთს. ამჟამადც ისტორიული ქართული კოლონიების მოსახლეობა ერთმანეთს ამ ტერმინით მოიხსენიებს.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურების გულს სამშობლოსადმი გაცილებით მეტი სიყვარულითაა ანთებული, ვიდრე საკუთრივ საქართველოში მცხოვრები ქართველებისა. მათ ახარებთ ჩვენი წარმატებები, ანუხებთ ჩვენი ტკივილი. კოლექტიურად უყურებენ ქართულ საინფორმაციო გადაცემებს და ოცნებობენ იმ დროზე, როცა „აქეთა“ და „იქეთა“ ქართველები გავერთიანდებით.

ბურსა (თურქულად „ეზილ ბურსა“-საც უწოდებენ) ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქია, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები. მათი დიდი ნაწილი ქალაქთან ახლოს მდებარე ინეგოლსა და ინეგოლის რაიონის 20 სოფელში (მესრული, ჰილიმი, საადეთი, ჰასან ფაზა, ფინდიკი, ბათახლი, გულბახჩე, ჩიფლიკი, კარა კადირი, ხეირი, დერეჩათი, ყაზულელი, ფევი, გუნქესტანი, ელმაჯარი, იენიჯე, მერზუკი, ერიკლი, სულხი) ცხოვრობენ და გადმოსახლებულნი არიან



1964 წლის 5 აპრილს. დამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესორი გემის ინჟინერია. მან საკუთარი მანქანით ჩაგვიყვანა ინეგოლში და დაგვანიშნა საკუთარ ოჯახში. მუუღვეც, ქალბატონი სევდა - თავდგირიძის ასული შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა. სტუმართმასპინძლობა, ქართველების სიყვარული გენეტიკურად მოსდგამთ იბრაიმსა და მის შესანიშნავ მუუღვეს. ისინი სიზმარსაც ქართულად ნახულობენ და ახლად ნასწავლ თუ წინაპრებისაგან შემორჩენილ ქართულ ამბებს იშვიათი გულმოდგინებით ყვებიან. სამი შვილი ჰყავთ იბრაიმსა და სევდას: ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი. სენა - უფროსი ქალიშვილი სტამბოლის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტია, იქცა მათემატიკის სწავლობს, უმცროსი მირზა კი მუუღვე კლასის მოსწავლეა. იბრაიმს სახლი ყურანის გვერდით მუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“ უღვეს და ყოველდღიურად იყვრება ქართულ წიგნსა და ანბანს.

მას ეამაყება, რომ ქართველია. სწორედ ამან გადაწყვიტა მას ქართული ენის შესწავლა და უნდა, რომ შეიძლებოდა ასწავლოს ქართული. ამ მიზნით მას ბათუმში სახლის შესყიდვა გადაუწყვეტია, რათა მიეცეს შესაძლებლობა საკუთარ შვილებს ასწავლოს მშობლიური ენა და ისტორია.

იბრაიმმა საუბარში გაიხსენა თავისი ბავშვობა და ის დღე, როცა გააცნობიერა



ძირითადად მალამთიანი აჭარიდან (ოლადაური, ჭალა, ჭვანა, კვიახიძეები, გოგინაური, ნენია, ალმე...), ასევე ახალციხიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. რაიონში ფუნქციონირებს კიდევ ქართული კულტურის ცენტრი, სხვა ქართული ორგანიზაციები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ბურსაში დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ჩვენებური“ აჰმედ ოზკანის (მელაშვილის) ხელმძღვანელობით.

2014 წლის აპრილ - მაისში ევროკავშირის საგრანტო პროექტის „პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი“-ს ფარგლებში ვიმყოფებოდი ბურსაში და თურქეთში. სტამბოლის ერთ-ერთი სასტუმროში მე და ჩემს მუუღვეს სპეციალურად ჩამოგვკითხა ინეგოლში ქართველმა იბრაიმ არასმა (ფუტკარაძემ) და შემოგვთავაზა მასთან ერთად ინეგოლში გამგზავრება. სიაგონებით დავთანხმდით შემთავაზებულ წინადადებას. შესაბამისად მოგვეცა შესაძლებლობა მოგვენახულებინა ინეგოლელი ქართველები.

იბრაიმ ფუტკარაძე არაჩვეულებრივი ადამიანია. იგი ბურსაშია დაბადებული

ამბობს კიდევ: „გული უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ფული“. იბრაიმ ამბობს, რომ ქართველია, მაგრამ გული წყდება, როცა მის ისტორიულ სამშობლოში ზოგჯერ არაადეკვატურ შეკითხვებს უსვამენ. „მე გურჯი ვარ, ჰამა ბათუმში ერთმა მკითხა: თურქი ხარ თუ გურჯი. თურქის ფენჯირიდან გადახედავ თურქი ვარ, გურჯის ფენჯირიდან გადახედავ გურჯი ვარ მეთქი - ვუთხარი. თქვენთან გურჯი ვერ გაგხდი, ამათთან კი თურქი“, გულისტკივილით დაასრულა თავისი

სათქმელი. იბრაიმს ანუხებს ისიც, რომ ბევრი ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან რელიგიას და ეროვნებას. იგი ძალზე აღაშფოთა კურორტ ოილათში ერთ-ერთი ქართველი ქალბატონის მიერ თავისი ქართველობის უარყოფა: „მე ბევრი ქრისტიანი არხატაში (მეგობარი, თ.ფ.) მყავს. ყველა ქართველი ჩემი და-ძმა არის. ქართველობა ჩვენი შემსია (ქოლგა, თ.ფ.), ყველას გედგავს ბურსაში“-ამბობს იგი.

2014 წლის 1 მაისს იბრაიმმა ჩაგვსვა საკუთარ მანქანაში და ქალაქის ქართველები და ინეგოლის ქართული სოფლები მოგვანახულებინა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენში ინეგოლის კულტურის ცენტრში თავმოყრილ ქართველებთან შეხვედრამ. იქ იყვნენ: ფევი და ისმაილ ქაია მაკარაძეები (ოლადაურიდან), საბირი არიფოღლი (ჭვანიდან), შენოლ იეჯერი (გვარი და სოფელი აღარ ახსოვს), შაიათ იაუზი და სხვები.

ისმაილ მაკარაძემ სიამაყით აღნიშნა, რომ მონაწილეობს სოსო სტურუას მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ჩვენებურებს ეძღვნება. ზოგიერთ მათგანს ახსოვთ წინაპრების მიერ გადმოცემული ისტორია მათი გადმოსახლების შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ შაიათ იაუზის მონათხრობ ზეპირ ისტორიას: „ნენე გოგინაური იყო გოგინაურიდან, ბაბოს თერფი აღმედან, ჰელბეთ აბულაძე. ნენედან ვიცი, იქიდან რომ წამულელი, ექვსი წლის ვიყავი. რუსის და ოსმალის ჩუბი რომ მოთავდა, სინორი (სახლვარი. თ.ფ.) გაავლეს და ხალხს უთხრეს: ვინცა გინდათ, ოსმალოში წაით, ვინცა გინდათ, რუსეთში დარჩით, რომ კარი ნა დეეძრასო (კარი უნდა დაიკეტოსო, თ.ფ.) ყოფილან სამი ძმა. დიდ ძმას უთქვამს: პანა ძმამ და დამ წაითო. დიდი ძმა ოსმანია დარჩენილა გოგინაურში. პანაი კი ბათუმიდან გემით წამოსულა. ჩამოსულან სამსუნში. იქ არ მოიხსენიებან დასაჯდომი ალაც. იქიდანაც კონიაში ჩამოსულან. არც იქ მოიხსენიებან: არც ხეა, არც წყალი და მერე ჩამოსულან ინეგოლში. იქიდან დაპანტულები ყველაი აქ მოყრილან. ნენე იტყოდა: დაბლა ოფიზან ბარია (ინეგოლის უბანი), იქ დავექით - გავითხრესო, ჰამა იქ ბუზი, კოლო, ტალახი ყოფილა. არ მოიხსენიებან და ასულან სოფელ მეზითში (ინეგოლიდან 24 კმ-ში). ნენე რომ გეიზარდა გამოთხოვდა სოფელ თუფქერი ყონალში.“

ნენე იტყოდა: ჩვენ მუსლიმანები ვიყავით, ვლოცულობდით, ვკითხულობდით. რუსის ასკერები ჩამოდიოდნენ და გვცემდნენ. ჩვენ ურუმალაი ვლოცულობდით. რუსები ჩვენ კაცებს რომ მოკლავდნენ, პურის ბუღულის ქვეშ შემოდებდნენ ჩვენ კდრებს. იმას უკან ორთაღულმა დაოლდაო (დანყნარდა), ჩვენ აქ წამოვიდით და დევნიეთ ცხოვრებო.“

ემოციების გარეშე შეუძლებელია ისაუბრო ავეჯის მწარმოებელ მეთინ უნგანთან შეხვედრის შესახებ. მას საკმაოდ დიდი სანარმო აქვს. იღებს შეკვეთებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან. მეთინ უნგანს აღარ ახსოვს მისი წინაპრების გვარი, მაგრამ სულთით და ხორციით ქართველია, ამბობს კიდევ თავისი წარმომავლობით, მაგრამ გული ტკივა, როცა მისი თანამემამულეების ცუდი საქცილის შესახებ გაიგებს რამეს. მას არ დაუმალავს გულისწყრომა ერთ-ერთ ვაიქართველზე, რომელიც თითქოს დახმარებას დაპირდა, საქართველოს მოქალაქეობის მიღების სანაცვოდ იქაურ

ქართველებში აკრიბა გარკვეული რაოდენობის თანხა და მიიშალა. „ჩვენებური იყო და რამე არ ვთქვით, ისე გავკერსდითო“ - დაასრულა თავისი სათქმელი ბატონმა მეთინმა. ჩვენი მცდელობის მიუხედავად მასპინძელს იმ უკეთური ქართველის ვინაობა ვერ ვათქმევინეთ.

წარსულის ტკივილიანი დღეების გახსენების გარეშე არ ჩაუვლია ჩვენს შეხვედრას ადემ თაიართან (დუმბაქესთან) - ჩანჩხალოელ მუჰაჯირთა შთამომავალთან. „საქართველო ჩემი სამშობლოა. სიზმრებს ბოლო დროს ქართულად ვნახულობ. მიყვარს ქართველები, ჰამა თქვენ მუსლიმანი ქართველების სიყვარული გაკლიათ. ქრისტიანმა და მუსლიმანმა ქართველებმა ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლითო“. მუჰაჯირობის ისტორია ქართველთა მძიმე ისტორიულ ხვედრს უკავშირდება. ამ მწარე დღეებს ადემს მუდმივად ახსენებს კაბინეტში კედელზე ჩამოკიდებული მისი დიდი წინაპრის მეფელის სურათი. ადემს აქვს ავეჯის მწარმოებელი სანარმო. ფირმისთვის



საც ქართული სახელი „ნათელა“ დაურქმევია.

ჩვენებურებს დიდი სურვილი აქვთ სამშობლოზე უფრო მეტი იცოდნენ და გვახვედრობენ - არ გვაპატრონობთო. ცხადია, ამ საკითხებზე სახელმწიფო - ქვეყანაში არსებული პრობლემების მიუხედავად - უფრო უკეთ უნდა ზრუნავდეს. უნდა მოვამარაგოთ ქართული ნიგნებით, უნდა მოიხსნას ყოველგვარი ბარიერი საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველი „ჩვენებურებისათვის“. ეს სურვილი გამოთქვას სოფელ ჰილიმიში მცხოვრებმა სერვეთ, ოსმან და თემურ დავითაძეებმა, ისმაილ უნგან (ჭალაძე), მუსტაფა ჭალაძემ, აზიზ ეფერმა (მაშხარაძე), ისმინაზ აიაზმა და სხვებმა.

ისინი ჩვენგან არ ითხოვენ არც ფულს, არც პატივს. ჩვენგან ელემენტარულ ყურადღებას და მოფერებას ითხოვენ. უნდათ, რომ ქართული სახელმძღვანელოებით მოვამარაგოთ, ქართული ისტორიული ფილმები ვაჩვენოთ, ჰქონდეთ ქართული ტელეარხები, თუმცა „ძალიან ცქციტა (ჩქარა) ლაპარაკობთ და გეჭიჭის გაგებო“.


ერთი დიდი ტკივილი გაყვა თბილისიდან ბატონ მუსტაფა ჭალაძის: „თიფ-

პირ გვიტხრა თავისი სათქმელი ამ გულმართალმა კაცმა.

უნებლით მახსენდება ერთი ცნობილი გამოთქვა: „მირჩენია აქ გურჯი ვიყო, ვიდრე საქართველოში თათარი დამიძახონო“. სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენ ვერ გამოვედით ფეოდალური ცნობიერებიდან. გრიგოლ ხანცთელის ეპოქის ქართველები უფრო მაღალი ეროვნული ცნობიერების მატარებელნი იყვნენ, ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის ქართველები. გავისხენოთ გიორგი მერჩულეს სიტყვები: „ქართლად ფრიად ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეინარჩვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ეს იქცა 10 საუკუნის წინ, დღეს კი ნაიშალა ერთიანობის განცდა. ქართველი ქართველს ებრძვის, სოფელი სოფელს, სამარცხვინოდ ვკამათობთ რალაც რეგიონალურ „სახლვრებზე“, გავითოკაცდით და ბედნიერად ვთვლით თავს, თუ სამშობლოს დამარცხების ხარჯზე მივალნევთ რაიმე პირად „წარმატებას“. სამწუხაროა, რომ ამ



სენით ისე დაავადა ქართული სხეული, რომ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენებურებს პირველივე შეხვედრის დროსაც არ გაძინებოდათ ამ დაავადების დანახვა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით დიდებულ ქართველთან მუჰამედ ემინ ქაია - მაკარაძესთან შეხვედრისას. იგი ოლადაური მუჰაჯირების შთამომავალია. მისი დედა კობალთელი თავდგირიძის ასული ყოფილა, ბაბუის დედა კი შუბნელი ალიალიშვილების შთამომავალი. ამ შესანიშნავ ადამიანს ინეგოლის კულტურის სახლი იმ დროს შეხვედით, როცა აჭარის ტელევიზიით გადიოდა ამ სტრიქონების ავტორის ლექცია „ქართული დიასპორები უცხოეთში“. უნდა ითქვას, რომ ამ ლექციას დიდი გამოხმაურებები მოყვა საინტელსო, ფერადანისა და თურქეთის ქართულ მოსახლეობაში. სიამაყის ცრემლების გარეშე ვერ ნაიკითხავ ფერდინდელი ქართველის საიდ მულანის გამოხმაურებას: „გამარჯობათ. როგორ გეითხობთ. მე ვარ საიდ მულანი. ვუყურე თქვენს ლექციას აჭარის ტელევიზიაში, ფერდინდანი და ძალიან მომეწონა. მე აქ მაქვს ქართული სკოლა. მაღლობა“. იგივე შინაარსისაა სტამბოლელი ქართველის ორჰან ბერიძის წერილიც: „გამარჯობათ. მე ვარ თურქეთე-



ლისში გააცნეს ჩემი თავი - თურქეთელი ქართველიაო. იქ ერთი ქალი იჯდა და თქვა: „მოლადატო“. რატომ ვარ მოლადატე, ქართველობა რომ შევნახე იმიტომ? ჩემი ბრალი ხომ არაა, რომ თურქეთში მოგვინია ცხოვრება. აქ, თურქეთში არ ვიყოფით მილით თურქებად და გურჯებად, ჩემს ვათანში ასე რატომაა, ვერ მივმხდარვარ. თურქეთში ჩვენებურები მაღალ ადგილებზე მუშაობენ თავრობაში, მეჯლისში. გურჯისტანში რომ ვიყოთ, ჩვენ არსად არ გაგვაკარებენო“ - პირდა-

ინგოლელი ჩვენებურების სამართლიანი საყვედურის მოსმენა მოგვიხდა: „გამარჯობა ბატონო თამაზ. მე ვარ საინგილოდან, თემო სუყაშვილი. გიორგობას გილოცავთ! შეგნით ქურმუხის წმინდა გიორგის ძალა და მადლი! დღეს კახის რა-

ნური ეფენდი თავდგირიძე (1880-1969)

იონის სოფელ ალიბეგლოში თქვენს ლექციას ვუყურებ აჭარის ტელევიზიაზე, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს ეხებოდა... მთელი ოჯახი სულმოუთქვლად ველოდებოდით, როდის დაიწყებდით საუბარს ისტორიულ პერსონაჟზე (ბედუკუდმართობით აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული და საინფორმაციო დეფიციტის მხარე) მცხოვრებ ქართველებზე.

ძალიან გული დაგეწყდა, რომ ერთი სიტყვითაც არ შეეხებოდა ამ ყველაფერს დაინგებულ მხარეს და ხალხს... დასავლეთ საქართველოში ძალიან ცოტა იციან ჩვენი კუთხის, ადათ-წესების, ტრადიციების და ხალხის შესახებ. იმ ხალხის შესახებ, სადაც ქართველობას ყველაზე მეტად გვაქვს შენარჩუნებული ქართული ცნობიერება, სული, გენი, რელიგია და საქართველოს სიყვარული. და სწორედ თქვენ, პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტი როლი გეკისრებათ აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისათვის. თემო სუყაშვილი.

საპატიებელი ჩვენს თანამემამულეს არაფერი აქვს. ჩვენ კი ნამდვილად უნდა ვიხსოვოთ პატივება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. წარმოდგენილ წერილებში ნათლად მუშავეთ ისტორიული ბედუკუდმართობით სათავედადებული უდიდესი სიყვარული და ნოსტალგია მშობლიური საქართველოსადმი.

ლექციის შინაარსით კმაყოფილი დარჩა ჩვენი მასპინძელიც, მაგრამ საქართველოში არსებულ მიმდინარეობებსა და გაუსაძლის ყოფაზე ფიქრსა და დარდს თავი ვერ დააღწია. ბატონ მეჰმედი შესანიშნავად ასობდა მუშავეთის ისტორია, გადასახლების უმძიმესი დღეები. მისი ინფორმაციით, მისი წინაპრები ბათუმშიდან „გულ-ჯემალ გემით“ გადაუყვანიათ. გულ-ჯემალი ფადიმოჰ სულთან რეზიდის დედა წარმოშობით ქართველი ყოფილა. „ჩვენ რომ გადმოვსახლდით, სულთან იყო აბდულ ჰამიდ მეორე, რომლის ცოლი ქართველი ბეზმი ალემ სულთან იყო. მან მოგვცა დასახლებლად გადმოსახლებულებს ეს ადგილები. 18 სოფელმა დაჯდა ამ ტყეებში. რაცხა ადეთი იყო აჭარაში, ის ადეთი გვაქ, არ შევსაღვივით. ადეთი არ მოგვიშლია ცეკვამი, საქმელში. გვაქ საქმელეები: ქალაჯო, ფხალალობია, ჭიჭური, ხაჯინი, ჰასუთა, ჟავე. ვიცით წონოლაი. თურქებმა ეს არ იცან“.

ბატონი მეჰმედი საინტერესოდ ყვება მუშავეთის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ჩემი ერთი დედა დემურალას ცოლი ბათუმში დარჩენილა - გოგონაო. ცოლს უთქვამს: ვეღარ დგინახავ ამის მერეო. საღამოზე, თვის 14-15-ში თვარე დიდი რომ გახდებოდა, აქედან შენ შეხედე, იქიდან მე შეხედე, თვარე სარკესავით იქნება და დიმიანახავო, უთქვამს დემურალ დედეს. ამას რომ ილაპარაკებდა ნენი, იტირებდაო“- დაასრულა მუშავეთის შესახებ საუბარი ჩვენმა მასპინძელმა.

მეჰმედი მაკარაძე შესანიშნავად იცის ქართველების ფერადანში გადასახლების ისტორია. ისინი თვლიან, რომ გიორგი სააკაძის საბრძოლო წარმატებები ოსმალების დამსახურება იყო, თითქოსდა ოსმალი ქართველებს უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას უწევდნენ. იქ მცხოვრები ბევრი ქართველი სათავის ძნელი იმის წარმოდგენა, რომ ოსმალითაც ისეთივე დამპყრობელი იყო საქართველოსათვის, როგორც ირანი. მათ სწამთ, რომ შაჰ-აბასი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, რომ მას ძილის დროს თავი სააკაძის თანხლებმა ქალმა საარომ მოკვდაო.

მეჰმედი მაკარაძე ვერ გუგუბა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. თავის დროზე, 2002 წლის ივნისში მას მოხანილეობა მიუღია სამშვიდობო მისიის მუშაობაში. ამ მიზნით შეხვედრია ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძესაც.

მეჰმედი მაკარაძე ინეგოლის ქართული კულტურის ცენტრის მუდმივი სტუმარია. იგი ამჟამად ქართული ხელოვნებით, ქართული კულტურით: „ჩვენი ცეკვები რომ დგინახო, გიგინარდება. ისე ცეკვითად (სხარტად), მოქნილად ცეკვობენ. ჩვენი სოფლებიც აჭარის სოფლებს გავს. ესენი აქ იოლად ჩანს. ჩვენი სისხლი და ხორცი გრძნობს ჩვენს ერთობას“.

ჩვენებურებს, თურქეთის ქართველებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვითსომო-საზოგადოებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები, შემოქმედებითი კავშირები, რომლებიც მეჰმედი მაკარაძისა და სხვა შექმნილი ქართველების მუდმივი მზრუნველობის ქვეშაა. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ფოლკლორის შესწავლისადმი, გამოთქვამენ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილს. სათვითსომოებში მოქმედებს ქართული ფოლკლორული ანსამბლები. ახალგაზრდა თაობა თანდათან მზარდ ინტერესს იჩენს თავისი ეთნიკური ფესვებისადმი. ჩვენი ვალა დავეხმაროთ ასეთ ქართველებს, მოვეფეროთ და გულში ჩავიკრათ ისინი. ამ რწმენით დაეშორადით ჩვენებურებს და უდიდესი შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა გამოვეყურეთ საქართველოსაკენ იმ იმედით, რომ კვლავ მოგვეცემა მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.

ნური—ეფენდი თავდგირიძე შუაჩვევის რაიონის სოფელ ლომანაურში დაიბადა 1880 წელს. მისი მამა იყო ისტორიული **მირათის** (ახლ. მარეთის) ხევში ცნობილი თავადიშვილი **აჰმედ თავდგირიძე**, ვაჟ-კაცობით, გამბედაობით, პატიოსნებით გამოირჩეული ქართველი. თავისი ქედუხიერებისა და გამბედაობის გამო, ხალხში ცნობილი იყო **დელი—ალა აჰმედის** სახელით. „დელი“ თურქული სიტყვაა და ქართულად **„დაუმორჩილებელს“**, **„დაუდეგარს“** ნიშნავს. ეს სიტყვა გამოიყენებოდა ოსმალობის პერიოდში კიდევ ერთ სიტყვაში, როგორც იყო **„დელიყანილი“**—ქართულად „ახალგაზრდა; **„დელი“**—დაუდეგარი, დაუმორჩილებელი; **„ყანილი“**—სისხლიანი (ყან/კან—სისხლი). **„დელიყანილი“**—დაუდეგარ, დაუმორჩილებელ სისხლიანი, ე.ი. **ახალგაზრდა**.

აჰმედ თავდგირიძე ოსმალეთის სულთნის სასახლის კარისკაცი იყო 1840—1879 წლებში. მასთან დაკავშირებულია ბევრი ლეგენდარული მოვლენა, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანი გახლავთ. 1877—78 წლების რუსეთ—ოსმალეთის ომის შემდეგ, ბერლინის საზავო ხელშეკრულების თანახმად, როგორც ცნობილია, აჭარა, სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, დაუბრუნდა დედამამშობლოს. აჰმედ თავდგირიძემ სულთნის სასახლეში უზრუნველ ცხოვრებას სამშობლოში დაბრუნება არჩია და ცხოვრება განაახლა სოფელ **ლომანაურში**.

ნური—ეფენდის დედა სოფელ ნენიდან იყო, ლომანაურში გამოთხოვილი, **ჯევაჰორ ქაძაძე**, ცნობილი ჟურნალისტის **ნოდარ ასლანის ძე ქაძაძის** ოჯახიდან.

მეფის რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკითა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბარბაროსული საქმიანობით შეწუხებული მოსახლეობა იძულებული გახდა მუშავეთად წასულიყო ოსმალეთის სხვადასხვა მხარეში. მათ შორის იყო აჰმედ თავდგირიძის ოჯახიც, რომელიც ჩასახლდა ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ **ბახჩეყაიაში**.

აჰმედმა უმცროსი ვაჟიშვილი **ნური** თან წაიყვანა, უფროსი ვაჟი—**ზაბითი** კი ლომანაურში დატოვა. იგი 1922 წლამდე ფიქრობდა სამუდამოდ დამკვიდრებულყოფილ სამშობლოში, მუშავეთად ყოფნაზე ეთქვა უარი. მაგრამ ბოლშევიკების დამოკიდებულებამ თავად—აზნაურთა მიმართ საბოლოოდ ააღებინა ხელი სამშობლოში დაბრუნებაზე. 1921 წლამდე კი მისი ოჯახის წევრები ხშირად ჩამოდდიდნენ აჭარაში და თვეობით, წლებობით ჩერდებოდნენ აქ.

ნური თავდგირიძე ხშირად ჩამოჰყავდა მამას აჭარაში და დიდხანს ტოვებდა ლომანაურში. მას ქართულ და არაბულ წერა—კითხვას ასწავლიდა ცნობილი სწავლული, პირველი პროფესორი ზემო აჭარიდან, სოფელ ოლადაურის მკვიდრი **ლომან—ეფენდი ქარცივაძე**.

ნური თავდგირიძემ უმაღლესი განათლება მიიღო სტამბოლის უნივერსიტეტში ოსმალური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. საქართველოში მობრუნებულმა ცოლად შეირთო დღევანელი ქალიშვილი **ულფათ ფუტყარაძე**, რომელიც, როგორც ჩანს, **მგელაძე** იყო. მისი მშობლები დღეანის ერთ—ერთ უბანში—**განაყოფთაში** ცხოვრობდნენ და **ქურთასანოლებად** იწოდებოდნენ. სიტყვა **„ქურთ“** თურქულია და **„მგელს“** ნიშნავს. სიტყვები **„ქურთ“** (მგელი) და **„ქურდ“** (ქურთი, როგორც ეროვნების სახელი) სულ სხვადასხვაა. **„ქურთასანოლი“** ითარგმნება ქართულად, როგორც **„მგელ—ასან—შვილი“**, ე.ი. **მგელაძე** (მგელიშვილი) **ასანი** (სახელია მამაკაცისა). მათ 1900 წელს შეეძინათ ქალიშვილი **ზულფიე**, რომელიც სულ პატარა, 3—4 წლისა, დატოვეს მასთან—**ზაბით—ალა თავდგირიძისთან**, რადგან მას (ზაბითს) შვილები დაეხოცა ციებით და უშვილოდ დარჩა. თვითონ კი, რადგან ბოლშევიკებისაგან იდეგნებოდა, მუშავეთად გადასახლდა მამასთან, სოფელ ბახჩეყაიაში (ბურსის ვილაიეთი, ინეგოლის რაიონი). მალე საზღვარიც ჩაიკეტა და წასვლა—მოსვლა აიკრძალა.

ნური—ეფენდი **„ეფენდი“** არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს **„ბრძენს“**, **„განათლებულს“**, **„საპატიო პიროვნებას“** თავდგირიძე წლების მანძილზე თურქულ (ოსმალურ) ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ინეგოლის რაიონის სკოლებში. იყო ცნობილი თეოლოგიც. იგი წერდა ლექსებსა და დღიურებს. სამუხაროდ, დღიურები განადგურდა უყურადღებობის გამო; ლექსების ერთი ნაწილი კი აღმოჩნდა ნური ეფენდი თავდგირიძის **ქალიშვილის—ზულფიე თავდგირიძე—ფუტყარაძის** ძველ სკივრში, საიმედოდ შენახული, 1946 წელს გამოგზავნილ სურათთან ერთად. ქალბატონი **ზულფიე და** მისი ქალიშვილი **ლუთიე** ფუტყარაძეები ამ სკივრში გადაახალ საუნჯეს დიდხანს მალავდნენ. შემინებულნი იყვნენ 1937—1951 წლებში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების გამო. არ ამყლავდნენ, რომ ბურსის ვილაიეთში ჰყავდათ უახლოესი ნათესავები, ემინოდთ გადასახლებისა.

ნური—ეფენდი თავდგირიძის ლექსებს მიაკვლია შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნური ეფენდი თავდგირიძის შვილთაშვილმა **შუშანა ფუტყარაძემ**. ლექსები შევა მისი მონოგრაფიის—**„ჩვენებურების ქართულის“** მეორე ტომში, რომელიც, ღვთის შეწევნით, მალე დაიბეჭდება. ლექსების ერთი ნაწილი ქუთაისელმა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა გამოაქვეყნა ქუთაისურ გაზეთ „უქიმერიონის“ ფურცლებზე (იხ. #3—4, 2014, გვ. 14). რამდენიმე ლექსი შევიდა ემიგრანტული პოეზიის ანთოლოგიაში.

დღეს ლომანაურში ლექსებით მდიდარ სკივრს და 1946 წელს გამოგზავნილ ისტორიულ ფოტოს ეფერება მისი შვილიშვილი 88 წლის ქალბატონი **ლუთიე ფუტყარაძე**. სამუხაროდ, იგი შუუძლოდ არის, მაგრამ მას თავს ევლენიან ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი შვილი **ალექსანდრე** (მუხო) და რძალი **ნათელა** გოგიტიძე—ფუტყარაძისა.

ნური —ეფენდი თავდგირიძეს ჰყავს სასახლო შთამომავლობა—შვილიშვილები და შვილთაშვილები. **საქართველოში**: შვილიშვილი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ფუტყარაძე**, შვილთაშვილები:მედცინის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ალექო ბაკურიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები— **მიხეილ ქაძაძე** და **შუშანა ფუტყარაძე**. **თურქეთში**: ინეგოლის რაიონშიც (თურქეთის რესპუბლიკა) ნური ეფენდი თავდგირიძის შთამომავლები სასახლონი არიან. მათ შორის აღსანიშნავია, შვილიშვილი ხასან ბაშთურქი (თავდგირიძე). შვილთაშვილები: ინეგოლის ყოფილი მერი, ბიზნესმენი **ჯემალ არიქი** (ცეცხლაძე), თეოლოგიის პროფესორი **ჰუსეინ თუნჯი** (შარაშიძე), ინეგოლის განათლების განყოფილების უფროსი მემედ ბაშთურქი (თავდგირიძე), ცნობილი ბიზნესმენები—**მემედ ოზბეგი** (თავდგირიძე) და **მურათ ბაშთურქი** (თავდგირიძე).

ნური—ეფენდი თავდგირიძე ჭეშმარიტი პოეტია. ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება. მისი ლექსები გამთბარია მშობელი მიწის სიყვარულით, დაუოკებელი მონატრებით; სიზმრად ქცეულილ მშობლიური ადგილების მოსაფერებელი გრძნობითა გაჯერებული. ნური—ეფენდი თავდგირიძე მუშავეთი ქართველთა შორის დღემდე გამოყვანილი ერთადერთი პოეტია. ვინ იცის, რამდენი სასახლო ადამიანის შემოქმედება ელოდება მომავალ მკვლევარს, სამშობლოში დაბრუნებას.

ნ უ რ ი თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე

გ ა ხ ა ე ხ უ ლ ი ა ლ უ ლ უ ნ დ ა

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა ლ უ ლ უ ნ დ ა , რ ა ვ ა რ ც ტ რ ე დ ი ს ჭ უ ჭ უ ლ ე ბ ი . ჩ ე მ ი თ ა ვ ი თ უ ა რ გ ი ყ ვ ა რ ს , ა ლ ა რ დ ე გ ე ფ უ რ ჩ უ ლ ე ბ ი . მ ა ლ მ ა ლ გ უ ლ ი თ მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი , ც ე კ ხ ლ ი ს ა ლ ა დ ა ვ ა რ დ ე ბ ი . ჩ ე მ ი თ ა ვ ი თ უ ა რ გ ი ყ ვ ა რ ს , ნ ა ვ ა ლ , ნ ყ ა ლ შ ი ჩ ა ვ ვ ა რ დ ე ბ ი . ჩ ე მ ე ზ ო შ ი გ ე ი ა რ ე , შ ო რ - შ ო რ ნ უ ლ ა რ ი ა რ ე ბ ი . მ ო მ ი რ ჩ ი ნ ე ს უ ლ ი ს ბ რ უ შ ო დ ა გ უ ლ ბ ა ნ დ ი ს ი ა რ ე ბ ი . 1901 წ ე ლ ი , ბ უ რ ს ა .

მ უ ჯ ა ჯ ი რ ე ბ ს გ ი გ ვ ი ჭ ი რ ლ ა

ე ს ა დ გ ი ლ ი — ბ ა ხ ჩ ა ყ ა ი ა გ ე გ ო ნ ე ბ ა , გ ე რ ჩ ე ქ კ ა ი ა , ტ ყ ე ა ქ დ ი დ ი , ნ ყ ა რ ო შ ე ი დ ი , ქ ა რ ი ა რ ქ რ ი ს , ნ ყ ნ ა რ ი , მ შ ე ი დ ი ... ა რ გ ვ ა ქ ს ა ხ ლ ი , ა რ გ ვ ა ქ კ ა რ ი , ტ ყ ე შ ი გ ე ძ ი ნ ა ვ ს , ბ ე დ დ ა მ წ ვ ა რ ი . ხ ე მ ო ვ ჭ ა რ ი თ , ა ვ ა შ ე ნ ე თ . დ ე ნ ს ო ფ ე ლ ი გ ა ვ ა შ ე ნ ე თ . ჩ ე მ ე ბ ე ა ქ ა ც გ ვ ე ნ ა თ ე ბ ა , ს ა ხ ლ ე ბ ი გ ვ ა ქ დ ი დ ი ჰ ვ ლ ი თ , მ ა რ ა ი ს ე ვ ე ნ გ ე ვ ე ნ ა ტ რ ე ბ ა , ჩ ე ვ ნ ი ფ ე ს ვ ი — ლ ო მ ა ნ ა ვ რ ი . მ უ ჰ ა ჯ ი რ ე ბ ს გ ი გ ვ ი ჭ ი რ დ ა , ტ ყ ე შ ი ვ ზ ი ვ ა რ თ , ტ ყ ე შ ი გ ვ ძ ი ნ ა ვ ს , ო მ მ ა დ ი დ ა თ მ ე გ ვ ა ნ უ ხ ა , ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი მ ი გ ვ ა ძ ი ნ ა . ო მ მ ა ძ ა ლ უ ა ნ მ ე გ ვ ა შ ი ნ ა , ბ ე ვ რ ი დ ე რ დ ი დ ი გ ვ ი ნ ი ა . ლ მ ე რ თ ო , ს ა ხ ლ ი ჩ ი ვ გ ი ყ ვ ა ნ ე დ ა დ ა გ ვ ტ ი ე მ უ ლ დ ა მ შ ი ნ ა .

მ ო ნ ა წ რ ე ბ ა

ჩ ე მ ე ზ ო შ ი ნ ა ძ ვ ი ს ნ ი ნ ვ ი , მ ო მ ე ნ ა ტ რ ა , მ ი ს თ ვ ი ნ ვ ი ნ ვ ი . ჩ ე მ ე ზ ო შ ი ჟ ა ვ ე ვ ა შ ლ ი , დ ი მ ი ნ ა ხ ო ს , კ ლ ა ვ ე ბ ს გ ა შ ლ ი ს . ჩ ე მ ე ზ ო შ ი კ ა ხ ა მ ბ ა ლ ი , ა რ მ ე ხ ე ლ ო თ გ ლ ა ხ ა თ ვ ა ლ ი თ . ჩ ე მ ი ე ზ ო ს გ ე ნ ლ ი ს ღ ო ბ ე , ლ მ ე რ თ ო , ბ ე დ ი მ ი ნ ყ ა ლ ო ბ ე ! ჩ ე მ ი ე ზ ო ს კ ე რ ე კ უ რ ხ ე ვ , ს უ ლ შ ი , გ უ ლ შ ი ჩ ე ვ ე ფ უ რ ხ ე ... ა ქ ა ც მ ე ს მ ი ს რ ა ფ რ ა თ მ ლ ე რ ი ს ჭ ა ლ ი თ ა ვ ი ს ნ ყ ა რ ო ს თ ვ ა ლ ი . დ ე მ ე ს ი ზ მ რ ა ჩ ე მ ე ზ ო შ ი თ ვ ა ლ შ ე რ თ ვ ე ლ კ ა ხ ა მ ბ ა ლ ი . მ უ ჰ ა ჯ ი რ ი ა ს ე ვ ჩ ი ვ ი , მ ო მ ე ნ ა ტ რ ა ჰ ა ნ ტ ი ს ჩ ი რ ი . დ ე რ დ ე ბ ი თ ვ ა რ გ ა ბ ა ნ რ უ ლ ი , ს ი ზ მ რ ა დ ვ ნ ა ხ ე გ ა პ ა კ უ ლ ი . თ უ ჩ ე მ ი ხ ა რ , ე რ თ ო ლ მ ე რ თ ო , დ ე მ ა ტ ე ვ ი ე ო ს მ ა ლ ე თ ი . ჩ ა მ ა ტ ა ნ ე , ხ ე ლ ი ხ ე ლ შ ო , დ ა მ ა ბ რ უ ნ ე მ ე მ ლ ე ქ ე თ ო შ ი ! 1948 წ ე ლ ი , ბ უ რ ს ა , ი ნ ე გ ო ლ ი .

შ ე ნ , ჩ ე მ ი გ უ რ ი ს ნ ა ჭ რ ა ვ !

ა რ ს ი ა ნ ი დ ა კ ა რ ჩ ხ ა ლ ი ... გ უ ლ მ ა დ ი მ ი ნ ყ ო ფ ა რ თ ხ ა ლ ი . დ უ მ შ ა ნ ი ვ ნ ა ხ ე დ ა მ ჩ ვ ა ლ ი . ა რ ს ი ა ნ ი დ ა ს ა ხ ა რ ა , შ ე ნ ი დ ა ნ ა ხ ე ვ ა მ ა რ ა . ა რ ს ი ა ნ ი დ ა ბ ე რ ა ნ გ ა , მ ო მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი , მ ე რ ა ვ ე ნ ა ? მ ო მ ე ნ ა ტ რ ე ბ ა ა ჭ რ ა დ ე ბ ე ტ უ რ ი დ ა ლ მ ა ლ ე ე . ს ა მ შ ო ბ ლ ო მ ი მ ი ნ ი ს ნ ა ტ რ უ ლ მ ა ჩ ე მ ი კ ა ლ ა მ ი ვ ა მ ლ ე რ ე .

ფ ი ქ რ ე ბ შ ი ნ ე ვ ე ლ , გ ა ვ ფ რ ი ნ დ ი , გ ა დ ა გ ი ფ რ ი ნ ე , ა ჭ რ ა ვ ; უ ბ რ ა ლ ო მ ი ნ ა კ ი ა რ ხ ა რ , შ ე ნ ჩ ე მ ი გ უ ლ ი ს ნ ა ჭ რ ა ვ . უ შ ე ნ თ ო კ ა ც ი ა ლ ა რ ვ ა რ , ვ ე რ გ ა მ ო მ კ ვ ე რ ა ვ ს დ ე მ ი რ ჩ ი . ჩ ე მ ო ლ ა მ ა ზ ო ა ჭ რ ა ვ , ვ ა ი მ ე , რ ა შ ო რ ე თ დ ი მ ი რ ჩ ი ...

ბ უ რ ს ა ს ვ ე რ ს ა დ ღ ა ვ ი ბ ო ლ ე

ს ა ხ ლ ი — კ ა რ ი მ ე ნ ა ტ რ ე ბ ა , მ ე ლ ო დ ე ბ ა ძ ე ვ ლ ი ბ უ დ ე ე ქ ვ ს ი ა თ ი ნ ე ლ ი ა ქ ვ ა რ , მ ა რ ა ვ ე რ ს ა დ დ ა ვ ი ბ ო ლ ე . მ ო მ ე ნ ა ტ რ ა ჩ ე ვ ნ ი ს ა ხ ლ ი ს ნ ა ბ ი ნ ვ ა რ ი , ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი . თ ვ ა ლ ნ ი ნ მ ი დ გ ა ს , ყ უ რ შ ი მ ე ს მ ი ს დ ი დ ი ნ ე ნ ე ს ნ ა თ ქ ვ ა მ ე ბ ი . მ ა გ ო ნ დ ე ბ ა მ თ ი ს კ ა ლ თ ე ბ ი , ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი თ დ ა ქ ა რ გ უ ლ ი . მ უ ჰ ა ჯ ი რ ე ბ ს გ ე ვ ე ნ ვ ი ს გ უ ლ ი , ს ა მ შ ო ბ ლ ო მ გ ვ ა ქ ე ს დ ა კ ა რ გ უ ლ ი . ჩ ი რ უ ხ ი ' ს უ ლ მ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ა , ჯ ი ნ ა ლ ი ² დ ა მ ა ჭ რ უ ლ ი ³ ... შ უ ა მ თ ო ბ ა ზ ე ⁴ ს ი ა რ უ ლ ი , ს ი მ ლ ე რ ე ბ ი ა ჭ რ ა უ ლ ი . ნ უ თ ი ს ო ფ ო რ ი ს უ ლ რ ა ნ ტ ყ ე შ ი , ა რ გ ა ს ო რ დ ა გ ზ ე ბ ი ბ რ უ ლ ე ⁵ , ა ქ ე თ გ უ ლ ი ვ ე რ ს ა დ დ ა ვ დ ე , ბ უ რ ს ა ⁶ ვ ე რ ს ა დ დ ა ვ ი ბ ო ლ ე . რ ა ი ქ ნ ე ბ ა , ჩ ი ტ ი ვ ი ყ ო , ს ა მ შ ო ბ ლ ო მ ი გ ა დ ა ვ ფ რ ი ნ დ ე . ა რ გ ე ნ ყ ი ნ ო თ , მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ო , მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა ვ ე რ დ ა ვ ა ბ რ დ ე . 1962 წ ე ლ ი , ბ უ რ ს ი ს მ ხ ა რ ე , ი ნ ე გ ო ლ ი .

1. ჩ ი რ უ ხ ი — მ თ ა ზ ე მ ო ა ჭ რ ა შ ი ; 2. ჯ ი ნ ა ლ ი — ა დ გ ი ლ ი ჩ ი რ უ ხ შ ი ; 3. მ ა ჭ რ უ ლ ი — ა დ გ ი ლ ი ჩ ი რ უ ხ შ ი ; 4. შ უ ა მ თ ო ბ — დ ლ ე ხ ა ს ნ ა უ ლ ი ზ ე მ ო ა ჭ რ ა შ ი ; 5. ბ რ უ დ — მ ო რ ლ ე , უ ს ნ ო რ მ ა ხ ს ნ ო რ ო ; 6. ბ უ რ ს ა ს — ბ უ რ ს ი ს მ ხ ა რ ე შ ი (ბ უ რ ს ა — ქ ა ლ ა ქ ი ა ნ ა ტ ო ლ ი ა შ ი , თ უ რ ქ ე თ ო შ ი) .



პოეზია, საზოგადოდ, ადამიანის სულის მდგომარეობა, განცდათა ენით ადამიანური არსების თხრობა, სიცოცხლის არსის დანახვის ნიჭი; სამყაროს ხატოვანი აღქმა, იმდაგვარი, ყველაფერი ყველაფრის წვდომით რომ არის უფლებამოსილი.

საქართველოში პოეტობა განსაკუთრებით რთულია, რადგან პოეზია ადამიანისაგან საკუთარი შინაგან „მესთან“ ჭიდილში გამარჯვების ჟინი კი არ არის მხოლოდ, არამედ დიდი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობაც. ქართველის კულტურულ ცნობიერებაში პოეტი ის ადამიანია, ვინც „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“ ევლინება ხალხს. იმთავითვე ასე დასწრედა ქართულ პოეზიას: ხმა მხოლოდ პოეზიის ტრფიალისათვის კი არ უნდა მიეწვდინა, არამედ უპირველესად ადამიანს დახმარებოდა საკუთარი დროის და საარსებო სივრცის გაცნობიერებასა და ამ დროსა და სივრცეში თავისი თავის პოეზიაში. ამიტომ ძნელად გუიობდა, ძნელად უნებდა ანგარიშს მოარულ და აღიარებულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ „იზმებს“ და არც თუ იშვიათად თავად ქმნიდა მათ. ამის გამო ქართულ პოეზიას არასოდეს აკლდა შინაგანი სილამა და ფორმალისტური თავისუფლება და ეს სილამა-თავისუფლება იქცა მის ტვიფარად. ქართულ პოეზიას ამის გამო იშვიათად დასჭირვებია მკითხველთან შუამავალი. ასეა იგი გამართული მაგისტრალურად.

რეზო სტურუას პოეტური სამყაროუპირველესად ამ თვისებით ეხმარება ქართულ პოეტურ ცარგვალს. მას ნამდვილად არ სჭირდება მკითხველთან შუამავალი, რადგან იგი უაღრესად ქართულია თავისი მხატვრული ცნობიერებით და მისი პოეტური თქმა მთლიანად სამყაროს ქართული ეროვნული ენობრივი სურათ-ხატით საზრდოობს.

ჯერ კიდევ ძველებს უთქვამთ: პოეტებად იბადებიან, ორატორობას განსწავლით აღწევენო. იმაზე კი არაფერი უცნობებიათ, როდის იღვიძებს პოეტში პოეტი. თუკი პოეზია საკუთარი თავის აღმოჩენაა, გასაკვირი არც ამ პოეზა-აღმოჩენის დროით ამპლიტუდის ნაირგვარობა უნდა იყოს, მით უფრო, რომ პოეტი თავად ქმნის კონკრეტულ დროსა და სივრცეში შთაბეჭდილ სამყაროს და ეს სამყარო მას მუდამ თან ახლავს. მისი აქყოფიების ხატი ამ სამყაროთა გაშინარსებულში.

სწორედ ამგვარია რეზო სტურუას პოეტური სამყარო და მისი შემოქმედების პოეტური პროფილი: მასთანაცპოეტი და პოეტური სამყარო ერთ მთლიანობას ქმნის: გასაოცრად რეზონანსულია პოეტის ფიზიკურ-სხეულებრივი ნატურა მისი პოეტური სამყაროს თემებთან და მოტივებთან, მისი ლექსების რიტმში ახმანებული სამყაროს სუნთქვასთან. მის პოეტურ ქმნილებებში მათი ავტორის იერ-სახეობა, გარეგნობა ჩაცმულობის ტანის სამოსი ადამიანის სულის გარეგანი ხატი (რაიც ქართულ სინამდვილეში თავის დროზე ბრწყინვალედ ცხადყო გრივოლ რობაქიძემ). რეზო სტურუა ამ მხრივაც პოეტია - პოეტია გარეგნული ნახვეობით, შინაინახობით და გამოხედვის ფაქიზი ქვეტექსტურობით. და ეს ყველაფერი მისი პიროვნულობის საეზიზი ბარათია. ესეც არის იმის მიზეზი, რომ რ. სტურუას პიროვნულობა და ამ პიროვნულობით ნაქმნი სამყაროსა და მისი პიროვნულობით თანახმიანობს.

ნულობა და ამ პიროვნულობით ნაქმნი სამყაროსაოცარი ესთეტიზმით თანახმიანობს.

რეზო სტურუას პოეტურობის გაცხადება ტრადიციული საზომებით მოგვიანებით შედგა. მისი პოეტური გზნება, როგორც ჩანს, დიდხანს ელოდა თქმის დროს და მაშინ შეახსენა თავი, როდესაც მის არსებაში ველარ დაეცა და შინაგან

მხრივ ღია და თავისუფალი ყველანაირი მიმდინარეობისაგან; ეს სამყარო მთლიანად ქართული მხატვრული აზროვნების ტრადიციებს ემყარება და მათი ღრმა ცოდნით საზრდოობს. მისი ლექსები, თითქმის ყველა ტრადიციულ სალექსო საზომს ირგებს. ამ ფონზე ასევე სრულიად აშკარაა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ტენ-



რეზო სტურუას პოეზიის ცისქვეშეთი

„მესთან“ დაილოგი ველარ იკმარა. აქ გასათვალისწინებელი და უთუო ანგარიშგასწავნი ისიც არის, რომ რ. სტურუას პოეტური ქრონოტიპი არც თუ დიდ დროჟამულობას მოიცავს. ნარმოუდგენლად მცირეა, სულ რაღაც წელიწადნახევარს ითვლის. მისი პოეტური გზნება ჭკმბარიტად ვულკანოიდურია, რადგან 100 ლექსის შექმნა ამ ეფემერულად მცირე დროში ყველაზე თამამი ნარმოსახვისთვისაც კი გამოაგნებელია.

ახლა, ამ გადასახედიდან, ძნელიც კია იმის გადაჭრით მტკიცება, ვინ უფრო მეტობს რეზო სტურუას არსებაში - სამთო საქმის მეცნიერი, პროფესორი თუ ესთეტი ლირიკოსი. არსებითი ეს, ალბათ, არც არის, რადგან რ. სტურუამ „ორსავ სამყაროსა შინა“ აღმოაჩინა თავისი თავი, თქვა თავისი სათქმელი.

რეზო სტურუას პოეტური სამყაროთემატურ-პრობლემური თვალსაზრისით მრავალფეროვანია, ლიტერატურულ-ესთეტიკურობის

დენციის არსებობა: თანამედროვეობის თემატურ-პრობლემური რკალის ლექსებში, სადაც მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსი დაქვემდებარებული ჩვენი ყოველდღიური საფიქრალი და სათქმელი შეგვახსენებს თავს, უპირატესად სადა, ნახვენი ხალხური პოეტური მეტრიკა მძღარობს; ტროპები, მხატვრული ორნამენტისა ადგილს უთმობს სათქმელის პუბლიცისტურ ლიაობას, გამჭვირვალობას. მხატვრულ ეფექტს აქ უზუსტი ქმნის, მხატვრული ხერხების უზუალურობით შეპირობებული იმგვაროვნობით, რომლებიც თავისთავად გამოდინარეობენ სამყაროს ეროვნული ენობრივი სურათ-ხატიდან და ამიტომ თქმისთანავე გასაგებია მკითხველისათვის. შთაბეჭდავი ამ რიგის ლექსებში თავად აქტუალური სათქმელის მიგნების, გამოზეუერებისნიჭია.

სრულიად განსხვავებულია სამყაროსა და საკუთარი არსებობის ლირიკული განცდის „ამსახველი“ ლექსების პოეტური აზროვნების მანერა და კონსტიტუცია. ამ წყების ლექსებში გზა ეხსენება ტროპულ მეტყველებას, თავისი ქვეტექსტური კასკადებით და მეტაფორული ვიზიონურობით; თვალში საცემია უკვე ინდივიდუალურ-სავტორო გამოშლილი მეტაფორები, მეტაფორული ეპითეტები, ზმნური მეტაფორები, მოულოდნელი, ასოციაციური შედარებები და ა. შ. ცხადია, რომ რ. სტურუას პოეტური ნიჭიერება, მხატვრული ცნობიერების ორიგინალობა მთელი სისრულით სწორედ ამგვარ ლექსებში მულავნდება და მათში ამეტყველებული პოეტური სამყარო გასაოცრად შთაბეჭდავია.

თემატურად რ. სტურუას პოეზია უაღრესად თანამედროვეა. იგი, როგორც პოეტი, არ არის მანერული პოზიციონულობით განმდგარ-განმარტობული საზოგადოებისაგან. ნებისმიერი მისი ლექსის რიტმში თანამედროვეობის სუნთქვა ხშირად და ეს ხმინობა მისი ნარსულის განცდითა და მისადმი ანგარიშგანევით არის ძალუმი, რადგან რ. სტურუა, ვითარცა ქართველი, ფიქრითაც და განცდითაც ცალი ფეხით წარსულშია, ამ ნარსულის წინაშე პასუხისმგებლობით იცნობიერებს საკუთარ ამჟამინდლობას და მოვალეობას მომავლისადმი. დროის უმძაფრესი შეგრძნება ასაზრდოებს ამგვარ კონტექსტუალურ განცდას. დროის ბუნებრივი მსვლელობის რიტმში ადამიანური არსებობის გაცნობიერება შესანიშნავად არის ასახული, მაგალითად, ლექსში „ზარმაცი დრო“.

დროის სვლა ადამიანის შეგნებაში ევოლიციური, კანონზომიერი პროცესია და მისი პიროვნული არსებობის რიტმსაც განსაზღვრავს. თანამედროვეობამ, თავისი გლობალისტური მასშტაბურობით თავად დროც შეატორტმანა და ბუნებრივი სვლა დაურღვია. პრაგმატიკამ თავისი ურ-

ცხვი სიშიშვლით გააოგნა ადამიანი. დადგა ზენობრივი უთავბოლოობის ჟამი, რადგან შეირყა ტრადიციული, მარადიულად შერაცხული ღირებულებები...

ადამიანებს უყვართ ყველაფრის დროისათვისგადარება. ჩანს, ეს ამსუბუქებს სიახლესთან შეგუების ტკივილს. გლობალიზაციამ კი არა მხოლოდ დროის სვლა შეცვალა, არამედ მისი სვლის რიტმიც, მანერაც და სვლის ზნეც. დროის სვლით სამყაროს ევოლუციონურობის უფლებაც წაართვა და უფუნქციოდ დატოვა. სწორედ ამ უცნაურობის პოეტური განცდა გვესაუბრება რეზო სტურუას აღნიშნული ლექსიდან.

შეიძლება ასეც განვიცადოთ: ჩვენი თანამედროვე დროის სვლის რიტმმა შეაცბუნა, რადგან იმდენად სწრაფი შეიქმნა, რომ მისი ვახდა შეუძლებელი შეიქმნა და გაჩნდა შეჩერების, უძრაობის ილუზია. ამ „უძრაობის“ პოეტური აღქმის გამლოლი მეტაფორაა „დრო წამოწოლილი მხარეთოზე“, გულარხინი და მცონარა დრო, თავის თავს (დროს) „ასე უაზროდ რომ ხარჯავს“.

ამ ლექსში ტრადიციული ღირებულებებს შეცვლის მტკივნეულგანცდას კიდევუფრო გამჭვირვალედ გვასმენინებს პოეტური თქმა „ნუ დამზარდები, გადამიმომე თუ სუნთქავს მაინც, ცოცხალი თუა“. და ეს თქმა ცხადყოფს პრობლემის იუმორისტულ და ირონიულუმეფასებას, რაც თავად მოვლენაზე ამალღების მაუნყებელია. იუმორი და ირონია, როგორც ცნობილია, დაცინვა-გაკილების საგანს უკარგავს შეუვალბობსადა მოვლენა ველარ ანგრეგს დამკვირვებლის (აქ პოეტის) პიროვნული სამყაროს მთლიანობას. პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაზარამცხეული დრო, ცულლუტობაში შემწნეული ბავშვივით უხერხულობს და პოეტის ირონიის „მარწუხებში“ მოქცევის გამო თითქოს ლოკა უნითღდება.

სრულიად ცხადია ლექსის მხატვრული ძალმოსილება: პოეტური შემსუბუქება ეპოქის ურთულესი და ამავედროულად უმძიმესი მოვლენისა და ამ შემსუბუქებით მასზე ამალღებისათვის ხელშეწყობა. ჭკმბარიტი პოეზიის დანიშნულებაც ხომ ამაშია?! ასე რომ, რ. სტურუას პოეტური განცდა - განსჯის საუფლოში არა მხოლოდ შემოაქვს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები, არამედ მათი „ძღვის“ გზებსაც სთავაზობს მკითხველს.

საზოგადოდ პოეზიაში თემატური მრავალფეროვნება არ არის მიჩნეული დიდ ღირსებად. უპირატესობა უფრო პრობლემის ხედვას და მისადმი მიდგომას ენიჭება, რადგან უკანასკნელ დროს მომბეზრებლად მომრავლებული პოეტების თქმებში თვალმისაცემია მენტორულობა, აქტუალურიპრობლემების განხილვა საკუთარი „მეს“ გამორჩეულობის დემონსტრირების ფონზე თანაც, ჩაგონების ფორმით. ამგვარი პოეტური თქმები „შთაბეჭდილია“ ბუნდოვანსა და ნაძალადევე შედარებებში, ყურით მოთრეულ მეტაფორებში, ალაღბედურ ასოციაციურ სინტაქსურ კონსტრუქციებში. რეზო სტურუას პოეზიისათვის ეს ყველაფერი აბსოლუტურად უცხოა.

რეზო სტურუას პოეზია აღბეჭდილია თემატიკის თავისთავადი პოეტურობით, ამალღებულობით, უჩვეულობით, მოულოდნელობით. მისი მხატვრული ცნობიერების ღირსება უპირველესად ამგვარ თემებზე პოეტური რეფლექსიაა, რადგანასეთი თემების მიგნება პოეტურ ნიჭიერებასემყარება. თემატურული უჩვეულობის შესანიშნავი მაგალითია ლექსი „არნივი“, სადაც ფრინველთა მეფის ეროტიკული ვნების უჩვეულო გარემოში (ჰაერში) დაცხრომის უნიკალურობაა აქცენტირებული.

თემათა შორის უპირველესი მაინც მძაფრი სამოქალაქო პათოსით გაჯერებული ადამიანის ზნეობრივი სრულქმნილობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თემაა. ამ თემაზე რაოდენობრივადაც ყველაზე მეტი ლექსია შექმნილი (სამ ათეულზე მეტი). პოეტური მიდგომისა და თქმის უჩვეულობით გამოირჩევა ლექსები: „გამოფხიზლება“, „კაი ყმას“, „ქართული სადღეგრძელო“, „ჩემს მასწავლებელს“, „ბალადა მონლოლსა და ცოტენ დადიანზე“, „ესეც გაივლის“, „ნიკორა“, „გლეხკაცს“, „არ არის ადვილი“, „ჭურჭელი“, „ნამდვილი ამბავი“ და სხვა.

მოვლენათა განცდის უჩვეულობა გამოაგნებელიც კი არის თავისი მოულოდნელობით, რადგან პოეტი არაიშვიათად ფაქტისა თუ მოვლენის ტრადიციულსაგან განსხვავებულ განცდა-გაზარებას გვთავაზობს. მაგალითისთვის შეიძლება დასახელებს ლექსი „ბალადა მონლოლსა და ცოტენ დადიანზე“. წარმოუდგენლად დიდი პოეტური სითამამე და გაბედულობა იყო აუცილებელი, რომ ქართული კულტურული კონცეპტის - ცოტენ დადიანის ისტორიული გმირობის - განსხვავებული, ტრადიციულის საპირისპირო, წაკითხვა წარმოედგინა და ამით გაერღვია ამ კონცეპტის საზღვრები - ისტორიული ისტორიულზე აღმატებული - ზედროული და საერთო საკაცობრიოს სიმალლიდან წაეკითხა. ისტორიული მტრის ზნეობრივი სრულქმნილობა შეეტოლებინა ეროვნული

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩატარდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ფსიქოლოგებმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის, არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯის“, „დღის ცენტრის“, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა ინკლუზიური განათლების პედაგოგებს დარგის სიახლეები და მიღწევები გააცნეს. მომხსენებლებმა სესიის მონაწილეებს ასევე გაუზიარეს ინკლუზიური განათლების სფეროში დაგროვილი გამოცდილება და სპეციალისტების გადამზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იმსჯელეს. კონფერენცია სტუდენტური თვითმმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა.



გმირის გმირობისათვის და მტრის ქება ეთქვა. ამ შემთხვევაში მტრის სიძულვილზე ამაღლების საფუძვლად მხოლოდ დროითი მანძილი არ უნდა დაეინახოთ. დროითი მანძილი, ბუნებრივია, აცხრობს ემოციებს და განცდებს ცივ განსჯებს უნაცვლებს, მაგრამ მთავარი აქ დროითი ზედროული გამოცდალევების ნიჭია, რაც ფაქტისა და მოვლენის სხვაგვარად დანახვა - გაცნობიერების შესაძლებლობას იძლევა. ამ ლექსში რ. სტურუამ ეს შესანიშნავად შეძლო: სამომბოლოოსათვის თავდადების ისტორიული მეტაფორის - ცოტენ დადიანის გონებამახვილი საქციელის (ხაზს ვუსვამ, - საქციელის და არა პიროვნულობის, გმირობის) მიღმა მტრის მოქმედების ზნეობრივ - ეთიკური ასპექტები დაინახა და წინ წამოსწია ღირსების დანახვა-დაუნახაობის საკითხი. ისტორიული ფაქტის ამგვარი განცდით რ. სტურუამ (უკვე უთქმელად) ქართულმენტალობაში შთაბეჭდილ იმ პარადიგმაზე მიუთითა, რაც თვითგადარჩენის ისტორიული კოდი იყო მუდამეფამს. ესაა მტრის ღირსების იმ მიზნური აღიარება, რასაც ამ მტრისგან ქართველის და ქართულის აღიარების იძულება უნდა მოჰყოლოდა. აი, სწორედ ამ ქართული მენტალური კონცეპტის პოეტური განცდა გვეხმაურება რ. სტურუას ამ ლექსიდან და ამით არის განსაზღვრული მისი მხატვრული ღირსება. პოეტის სათქმელი უაღრესად აქტუალურია - ადამიანმა უნდა შეიძლოს საკუთარ თავზე ამაღლება და ამით ზნეობრივი, მოქალაქეობრივი სრულქმნილობის მიღწევა.

ერთივე არის უცილებლად სათქმელი: რ. სტურუას მხატვრულ სამყაროში ზნეობრივი სრულქმნილობა პირნმინდოდ ადამიანური თვისება არ არის. ზნეობრიობას ემყარება მთლიანად მისი საარსებო სივრცე. ამ სივრცის ზნეკეთილობა უფლის ნებით არის განპირობებული, ანუ ზნეკეთილობა ადამიანის ამქვეყნიური არსებობის საფუძველი, იგი (ეს სივრცე), აქედან გამომდინარე, თავის მკვიდრი ზნეობრივი სრულყოფის ყველანაირ პერსპექტივას სთავაზობს. ამიტომაც დგას ადამიანი მუდამ არჩევანის წინაშე ზნეობრიობასა და უზნეობას შუა. ეს არჩევანი მას ხელშესახებდა ეძლევა და მის დანახვას ზნეობრივი თვალის სჭირდება; ამის გამო ამგვარი არჩევანის არსებობას არაიშვითად ზნეობრივის ობიექტური (ადამიანის გარე) თავიერა დასტურყოფს ხოლმე. ამ თვალსაზრისით უიშვითათესი ვი-ზუალური სურათია შემოთავაზებული ლექსში „გლესკაცა“. ქართული კულტურულ ცნობიერებაში მქვეყნახეობა, ვაზის კულტურა მითოსურ-მისტიკურია. ამგვარ განცდას ის რიდი და კრძალვა ქმნის, რომელთა გამოც მვეყნახე გლესკაცის შრომა ქურუმის კულტურას უტოლდება. ვაზის მოვლა-პატრონობის უანგარო თავშენიერება სძენს ამ შრომას სულიერ-ზნეობრივ სისუფთავეს, თანაც იმგვარს, თვით კრძალვას რომ აიძულებს მოკრძალებას. „გამთენიისას ზვარში“ მოფუსუსე გლესკაცის შრომის ლანდური „მონანილია“ „თვით მოკრძალება“, ვითარცა ღვთაებრივი მადლიერება ამ გლესკაცური შრომისაღმდეგ ვითარცა საზღვრის დამდები შრომით შემორკალულ სამსაყრისა და გარემოს (აქ პოეტის) კუთვნილ სივრცეს შორის.

ქართულ პოეზიაში ვაზს უმშვენიერესად უმღერა ჯერ კიდევ რაფიელ ერისთავმა „მვეყნახის სიმღერაში“, მას „შეიღიეთ ნაზარდი“ უწოდა, შემდეგ უფრო მალა აზიდა ილია ჭავჭავაძემ. ვაზის ქართული განცდა-აქტის სემანტიკა ასევე მშვენიერად აღბეჭდა ქართულმა კინემატოგრაფმა („ჯარისკაცის მანა“). ვაზის თემა არა ერთი სხვა ქართველი ხელოვანის შემოქმედებაში არის გაშლილი. თითქოს ამ მხრივ აღარ უნდა დარჩენილიყო სათქმელი. ამის მიუხედავად, რ. სტურუამ არა მარტო თავისი სათქმელი თქვა, არამედ ერთ გაშლილ ზმნურ მეტაფორაში შთაბეჭდა ვაზის ქართული პოეტური განცდის დიდი ტრადიციები. ქართული სულის ღრმა გათავისება არის აუცილებელი, რომ იგრძინო, დაინახო და მერმე შეძლო თქვა: „თვით მოკრძალება იდგა თავდახრით ჩვენს შორის თურმე, შენი კენესამე“, მსგავსი პრობლემატიკისაა ლექსი „მამლუქიც“.

აღნიშნული თემატიკური რკალი სხვა ბევრ ძალიან კარგ ლექსსაც აერთიანებს და არა ერთ საფირს აღძრავს ცივი პრაგმატიზმითა და ზნეობრივი სისრულის მწვავე დეფიციტით შეცბუნებულ ჩვენს თანამედროვეში, რაც რეზო სტურუას პოეზიის მთავარი და აქტუალური მოქალაქეობრივი პათოსით გაჯერებულობას ცხადყოფს. თუმცა ზნეობრივ - მორალისტური ტენდენციები არ არის რეგლამენტირებული მკაცრი იეზუიტის მისა და ასკეტიზმის ქვეტექსტურობით. პირიქით, მის ლექსებში ღია და დაუფარავია სიცოცხლის სისხარული, მისი მშვენიერების განცდა. ზნეობრიობა სულიერი ჯანმრთელობის და სილალის გამოხატულებაა და ამ აზრის მართებულობა თანამედროვე ყოფის ამსახველ ლექსებშია ხელშესახებდა გამყდარებული. სიცოცხლით ტკობა წარსულსა და აწმყოს თანაარსებობით განპირობებული სიცოცხლის მარადიულ ფასეულობათა სიყვარულს

ემყარება და ავტორი მათზე შეყვარებულ მეოცნებე რომანტიკოსად გვევლინება. ამ რიგის ლექსებში აწმყო, წარსული და მერმისი უჩვეულო დროჟამულ ქრონოტოპს „ქმნიან“. ეპოქების კალენდარული მონაცემების წილ მათი ურთიერთში არსებობის უჩვეულო სურათი იხატება: სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი პოეტური ხედვისათვის არასოდეს არაფერი თავდება, წყდება; ყოველთვის მარად არსებობს... ის, რაც იყო გუშინ, არის დღესაც და იქნება ხვალაც, რადგან დღევანდელობა გუშინდელის გამო არის ამგვარი, ხო-



ლო ხვალინდელობა - დღევანდელობით. ამის დასტურია თუნდაც ლექსი „მოგონებები მომავალზე“, სადაც ისტორიული დროის მარადიულობა და ისტორიულ ეპოქათა თანამყოფობა ათასწლეულების დროჟამულობით არის შექმნილი. დროის ამ დაუნაწევრებელი ერთიანობის შეგნებით განიცდება ამწუთიერებად და სამერმისო სატკენად „გორგასლის ფერდში შუბის იარა“; „მეფე დავითის ცრემლშეყვანილი მონანიება“ და ამ ფონზე დაისმის მარადიული, მტკიცეული და წყველაკრულვიანი კითხვა-როდის, სად და როგორ უჩენია თავი ქართველთა „ერთ სულ ერთ ხორცობას.“ და მიუხედავად იმისა, რომ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, უკვე ამ ისტორიული დროჟამულობის არსებობის რწმენა ცხადყოფს პესიმისტურ პოეტურ ამაღლებას.

სიცოცხლით აღტაცება კიდევ უფრო გამოკვეთილია იმ რიგის ლექსებში, სადაც ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები ქმნის ქართული ყოფის კოლორიტს. ამ თვალსაზრისით იმდენი კარგი ლექსი დანერა რეზო სტურუამ, რომ მათი ზოგადი მიმოხილვაც კი შორს ნაკვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ ორ ლექსზე შევჩერებ ყურადღებას: ერთია „ნამდვილი ამბავი“, მეორე - „ასტიონ ბაბუა და ჭაჭის არაყი“. პოეტური ლექსი იმ თავშესაქცევი და ჭკუისსანავლი ამბის პოეტური თხრობაა, პოეტის ბაბუას რომ ვადახდა: ქორნილში ცეკვის დროს სტუმარ გოგონას აკოცა. ჭაბუკის უნებლიე კადნიერება სოფელმა იუკადრისა და სასჯელად „დამნაშავეს“ სოფლის შუაზეგამყოფ მდინარეზე ხიდისსხვის დაუნახებლად აგება მიუსაჯა.

მეორე ლექსში კუმულაციური ზღაპრული თხრობის მანერით ასტიონ ბაბუას „განსჯა“ გადმოცემული (დილოგურად), ჭაჭის არაყი შედარებულია არაყის სხვა სახეობებთან და ბოლოს ვითომ სხვებზე ნაკლები ღირსების ჭაჭის არაყი სხვებზე უმჯობესად არის გამოცხადებული. აქ მხატვრულ ეფექტს შედარებათა კასკადები ქმნის. მხატვრულ ეფექტურობას, ცხადია, არც პირველი ლექსია მოკლებული. ამ მხრივ პოეტური ქვეტექსტურობა ლექსის ფინალია: „დღესაც კი ხიდის ადგილას უცხო ყვავილი ხარობსო, ყოველადრიან გაზაფხულს ბუღბუღი სევდით გალობსო“. ამგვარი ტენდენცია კი ერთსაც ცხადყოფს: რეზო სტურუას ემარჯვება ყოფითი მოვლენებისატანა ამაღლებულის, მშვენიერის სფეროში და ამით გრძობების, განცდების გამაფარება, ემოციური მუხტის გაძლიერება.

არსებითად ესაა ე.წ. სალაღობო პოეზია, რაც ბოლო დროის ქართულმა პოეზიამ სრულიად უსაფუძვლოდ მიიყენა. არადა მას კანონიკურობა ჯერ კიდევ დიდმა რუსთველმა მიანიჭა, ქართულ ტრადიციულ მდინარეზე ხიდისსხვის ნიშანდობლივი საკუთარი არსებობის ლექსად გამოხატვის ბუნებითი მოთხოვნის გათვალისწინებით.

სალაღობო პოეზიის დანიშნულება ხომ თანამედროვე ყოფისა და მასში საკუთარი არსებობის უღარდელი და ლაღი რეფლექსიაა, ცხოვრებისეულ სიმძიმეებზე სილალის ამაღლება მახვილსიტყვაობით, ენაკვიმბობით, ჭკუისსავარჯიშო, თავშესაქცევი ამბების პოეზიის სიმძლეზე ატანით და არა ფსევდომხატვრული ფუჭეიტყველე-

ბით. „ასტიონ ბაბუასა და ჭაჭის არაყის“ და „ნამდვილი ამბის“ ამბები კი სწორედ სალაღობო პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებია და ასეთი ლექსები რ. სტურუას პოეზიაში იშვიათი სულაც არ არის.

რეზო სტურუას პოეტური სამყაროში უმნიშვნელოვანეს თემატურ რკალს ქმნის პოეზიისათვის ტრადიციული, კლასიკური თემა უფლის ძიებისა, უფალთან მიახლოებისა და ამით ადამიანის სვლისა ზნეობრივი სრულყოფის გზაზე. პოსტ-

პენსაციოდ. ამგვარი ხედვა თვალმისაცემი ლექსებში „კაცი ბჭობდა“, „აღმოსავლური თქმულეობა“, „პარადოქსი“. ერთგან ადამიანის ნაოცნებარის უფლის ნებელობასთან „შეუთავსებობის“ თემა ხმინაობს - ოცნებათა ზღვარდაუდებლობა უფლისადმი ზედმეტ სითამამში გადაზრდად ასოცირდება. მეორე ლექსში ბედნიერების ეფემერულობის და ამაოების თემა გამოკვეთილი: - თიხაა ადამიანი და თიხაა მისი ბედნიერებაც, ანუ თავად ადამიანი და მისი ადამიანური არსებობაა ბედნიერება, - ასეთია ლეტაბრივი პასუხი ადამიანურ კადნიერებაზე - ბედნიერების მინიჭების მოთხოვნაზე. „პარადოქსი“ კი ღმერთთან ამირანული შერკინების თემის ორიგინალური ვარიაცია გვესაუბრება: ურწმუნო ადამიანი თავად ღმერთისგან თიხობს ისეთი ქვის შექმნას, რომლისანევა უფალსაც არ შეეძლება. ამ თემატიკის სხვა ლექსებში ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობის აღსრულების და ზნეობრივ - სულიერი სინმინდის პრობლემებია აქცენტირებული (მაგალითად, ლექსები: „გამოფხიზლება“, „გოლგოთის გზაზე“, „ამბოხი“, „ესეც გაივლის“, „შენი ჯვარი“, „ლალატი“, „კაცი ბჭობდა“ და სხვა).

რეზო სტურუას პოეზიაში ცალკე თემატურ რკალს ქმნის სატრფიალო - სამიჯნურო ლექსები. ეს თემა პოეზიისათვის იმდენად თანამდევია, რომ, ერთი შეხედვით, საგანგებო განხილვა - მიმოხილვას არც კი საჭიროებს, მაგრამ რ. სტურუას პოეზიაში ერთი, თანაც საყურადღებო, თავისებურება მაინც იჩენს თავს. ესაა ამ ადამიანური გრძნობის კლასიკური ქართული პოეზიის ესთეტიკურ ტრადიციათა შესაბამისად გაცნობიერება.

თანამედროვე ქართული პოეზია სატრფიალო - სამიჯნურო თემატიკის გაცნობიერებით საგრძნობლად დამორდა ეროვნულ პოეტურ ტრადიციებს: გაჯერდა სკაბრზითა და მიშველი უხამსობით, შეიბღალა უსათუთესი, უინტიმურესი განცდა. სიყვარულის ჯანსაღი გრძნობა მსუნაგმა ეროტიკამ გადაფარა. უხამსობა ლამის ესთეტიკურ ნორმად იქცა და უფროსი თაობის არა ერთი მწერალღც კი აცთუნა. ეროტიკულად ახუნტრუცებულიეს მწერლები გოლს არ უდებენ გაუნაფავ ახალგაზრდებს ეროტიკულ-სექსუალურ გამოცდილებათა და ლტოლვათა გაშიშვლებასა და „ტკობაში“.

რეზო სტურუას პოეზია არ მიჰყვება ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ტენდენციას - ეროტიკულ სიშიშვლის დემონსტრირებას. მის სატრფიალო ლექსებში ვერ უხამსობს შიშველი ეროტიკა, პირიქით, აქ ეროტიკა ზნეობის ლავამითაა და-შოშმინებული დაშენარუნებული სიყვარულის გრძნობის სისუფთავითა და სინმინდუ. მისი ლექსები ცხადყოფს თუ როგორ შეიძლება პოეტი ზედადეს, განიცდიდეს და წერდეს ეროტიკულ თემებზე უაღრესი ზნეობრივი პათოსით, არ გადადიოდეს ზნეობრივის ზღვარს, არ ამაღლებდეს, არ ამაღაბურდეს სათქმელს, ინარჩუნდეს პოეტური ვიზიონერულობის სინამდლე. მისი ლექსები ცხადყოფს ესთეტიკურს განცდას უქვემდებარებდეს, ესთეტიზმის უფლებამოსილებით აღავსებდეს. ამ თემატიკურ რკალს ქმნის ლექსები „გთხოვთ მაპატიო“, „დანისპარაულის რომანი“, „დილა ვენერა მილოსელთან“, „მოხუცი და ტანგო“, „შენი თვლების მზეს მივდეგ“, „ქალის აღსარება“, „მო-

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია
„ზღვა და ლიტერატურა“

ლევან ბერძენიშვილი რადიო „შოკოლადისა“ და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი გადაცემის „ნიგნების“ ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. სტუმარმა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გაართულ შეხვედრაზე საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ზღვა და ლიტერატურა“. მომხსენებელმა ძირითადად ის მხატვრული ნაწარმოებები შეაფასა, სადაც ზღვას განსაკუთრებული როლი აქვს. განიხილა ჰერმან მელვილის რომანი „მობი დიკი“, ოთარ ჭილაძის - „გზაზე ერთი კაცი მიდოდა“, ჯეიმს ჯოისის - „ულისე“, ვერიპიდეს - „მედეა“, ერკ ემანუელ შმიდტის - „ულისე ბალდადიან“, ჰომეროსის - „ოდისეა“. ასევე ისაუბრა ისეთ საინტერესო საკითხზე, როგორცაა: ზღვის როლი ალბერ კამიუსა და თომას მანის შემოქმედებაში. ლევან ბერძენიშვილის საავტორო გადაცემა 2012 წლიდან გადის და მიზნად ისახავს მხატვრული ცნობიერების ამაღლებას.



(დახაწვისი მე-9 გვერდი)

რეზო სტურუას პოეზიის ცისქვაბითი

პარული ოცნება, „ნაწილი“, „ფრაგმენტი თან-მედროვე ცხოვრებიდან“ და სხვა. ამ ლექსებში პოეტური ეფექტი „მეტყველ დეტალებს“ ემყარება. სიყვარულის გრძობას მამაკაცური განცდის სიძლიერესა და უჩვეულო ხიბლს სძენს ეროტიულ-სკაბრეზული ეტიკურობას დაქვემდებარებული ეფემიზების ტენდენცია.

რეზო სტურუას პოეზიაში დიდ რკალებს ქმნიან ბათუმისა და აჭარის თემზე შექმნილი ლექსები, „ერთი დღე ბათუმში“, „შეხვედრა ბათუმთან“, „ბათუმის ბაქანზე“, „ბათუმის პლაჟზე“, „შევეყვი მატყაზე“ და სხვა. რ. სტურუა ბათუმელია და უკვე ამაში ეძებნება ახსნა ამ თემის ესოდენ გამოკვეთილობას. ბათუმი მისი ბავშვობისა და სიყვარულის ქალაქია და სრულიად ბუნებრივია ამ თემის პოეტური ვარიაციების არსებობა. თუმცა ისიც არის აღსანიშნავი, რომ ბათუმი მხოლოდ ბავშვობის სამყაროდ არ განიცდება, რაიც ჩვეულებრივ გაუხუხარი ხიბლით აღიბეჭდება ადამიანის სულში. იგი მისი თანამდევია ქალაქია. მისი ამქვეყნიური არსებობის პიროვნულ - მოქალაქეობრივი ცნობიერების კონცეპტი. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ლექსებში აშკარად ჩანს ბათუმისადმი პოეტის ზნეობრივი ანგარიშების შინაგანი მზაობა. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ჩვენი თანამედროვეობის არა ერთი უმძაფრესი პრობლემა ბათუმის ფონზე და ბათუმის სივრცეშია განცდილ - გაცნობიერებული. მაგალითების მოყვანა მრავალად შეიძლება, ავიღოთ თუნდაც ლექსი „ბათუმის პლაჟზე“, სადაც ლტოლვილობის უმტიკინეულესი პრობლემა მიუზღვრის თემს ენასკება და გამაგრებული სასმელებით მოვაჭრე ქალის ხვედრს მისი მცირეწლოვანი ბავშვის უსაშველო ყოფით გაოგნებული, გულუბრყვილო სევდის ენით არის გამოხატული.

რეზო სტურუა პორტრეტული პოეტური ხედვითაც იქცევს ყურადღებას. მისი არა ერთი ლექსი მიძღვნილია. ადრესატები, ცხადია, მისი მეგობრები, ახლობლები და ზოგადად ის ადამიანები არიან, რომელთაც რაიმენაირი კვალი დააჩინეს ქართულ ყოფიერებას. პოეტურ ეფექტს ასეთ ლექსებში ქმნის კონკრეტული ფაქტის, მოვლენის განზოგადება, კონკრეტულში საყოველთაოს დახახუნა - ჩვენების ტენდენცია, რადგან ეს ზოგადობა თანაგანცდასწევს, მხატვრულ ეფექტს განაპირობებს ასევე ტევადი ტროპები, გაშლილი მეტაფორები და ეპითეტები, სასაუბრო ინტონაციები, პოეტური მეტყველების ჩამორევი მანერა, სპეციფიკური შტრიხების ორიგინალური გახმოვანება, პოეტური ალოგიზმები და ნახევარტონები, - მინიშნებებით თქმები. ამგვარი ტენდენციები განსაკუთრებით საგრძნობია ლექსებში „იქ, დარილის ვინო კარებთან“, „ივერი ფრანგიშვილის მოგონების სადღეგრძელოზე“, „გამოთხოვება მამასთან“, „გონა ჩოგოვადეს“, „აფხაზ ძმას“,

„ჩემს მასწავლებელს“, „რობერტ სტურუას 75 წლის იუბილზე“, „ალეკო ჟვინას“, „ბათუმის ბაქანზე“ (თამაზ უსტიაშვილის ხსოვნას), „ტრიო „სიმს“ და სხვა. ყველა ლექსში აქცენტირებულია არსებითი და პოეტური ნიჭის დემონსტრირება ამ არსებობის შემჩნევა - ფოკუსირება.

მწელად წარმოსადგენია, პოეტი, პოეტისა და პოეზიის არსა და დანიშნულებაზე რომ არ დაფიქრებულყოფს. გამონაკლისს, ცხადია, არც რეზო სტურუა შეადგენს. მასთან პოეზიის არსისა და პოეტის როლის ძიება იმდენად მყარი და სისტემურია, რომ ცალკე თემბატურ რკალს ქმნის. აქ პოეზიისა და ლექსების დიდი მეტაფორაა გალაკტიონი. რ. სტურუა გალაკტიონით შემოსაზღვრავს პოეზიის დიდ ცისქვეშეთს და აქედან იცნობიერებს თავის ადგილს და პოეტური ხმანობის საზრისსაც. ამით გალაკტიონისაგან განსხვავებული პოეტური თქმის არსებობის უფლებაც საბუთდება და ამ თქმის ვარგისიანობის რწმენაც. „გალაკტიონის ნაფეხურზე... სირცხვილით კია, მკრეხელობაა, ლექსს შეეჭიდოს ადამიანი“ - რ. სტურუას ეს მოქნეული თქმა დიდი შინაარსის დამტყევია და, რაც მთავარია, მინიშნებაა იმაზეც, რომ ღრმად აქვს გაცნობიერებული საკუთარი პოეზიის ადგილიც, მნიშვნელობაც და მკითხველს იმას სთავაზობს, რისი ართქმაც არ ძალუქს. იმას კი, რომ ნამდვილად არ „უცილებლობს“, თავად მისი ლექსები ცხადყოფს, მისი პოეტური თვალსაზრისი ადასტურებს, მისი პოეტური მეტყველება ამტკიცებს. აქ არაფერია თვითმზნური. თითოეული თქმა ქართული პოეტური სამყაროს ღრმა ცოდნას და მის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ექვემდებარება. ამას ისიც მონშობს, რომ გალაკტიონის „დემონურობით“ შემსჭვალული პოეზიის აღიარებასთან ერთად, რ. სტურუა „ხარკს უხდის“ სხვებსაც, მაგალითად, ტერენტი გრანელს, ტიციან ტაბიძეს და ამას მეტაფორული ალუზიებით გამოხატავს („გალაკტიონი იქცა დემონად, გრანელი, კიდევ, გაანგელოზდა“ - ლექსი „პაექრობა“, ანდა: „ტიციანი იღვთოდ მანამეს და ყაჩაღივით მეც მომკლეს მამინ“, - ლექსი „იქ, დარილის ვინო კარებთან“).

ქართული პოეზიის სწორედ ამგვარი ღრმა ცოდნით საზრდობს რ. სტურუას მხატვრული ცნობიერება, ხოლო მისი პოეტური მეტყველების მძლავრი იმპულსია სულიერი და მოქალაქეობრივი გამოფხიზლება იმისა გამო, რომ დამდგა ყამი უთავოლოობისა; რომ ისმის „ხარების რისხვა, სმენას სწვდება ქვათა ახალი ღაღადი“; რომ „წინაპართა სულთა ქრება კიჟინა“; რომ „მკერდი უნივის ბებერ ბახტიონის“; რომ „ალგეთს ლეკვები ყმუის მგლისანი“ („გამოფხიზლება“); რომ თავად მისი აღმატებულება დრო ითხოვს მოქალაქეობრივ გამოფხიზლებას და სათქმელის თქმას. ასეთ დროს კი ვერც გალაკტიონის პოეტური საზომებით ლექსთაქმნადობა, ანუ სათქმელის

ლექსად თქმანათვლება მკრეხელობად. პოეტისა და პოეზიის დანიშნულების თემის აქტუალბას ისიც ცხადყოფს, რომ რ. სტურუა ამ თემზე ბევრს წერს. ამ თვალსაზრისით შეიძლება დასახელდეს ლექსები: „მკითხველს“, „გამოფხიზლება“, „აფროდიტესთან“, „ექსპრომტი გალაკტიონის“, „ნასაკირალთან“, „ხელოვანს“, „პაექრობა“ და სხვა.

ლექსად თქმა რომ შეუძლია, ამას რეზო სტურუას ტროპული მეტყველების სამყარო ცხადყოფს. ამ მეტყველებას გამოარჩევს ლიტერატურული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ალუზიები, რემინისცენციები; მოვლენების იმანენტური გაცნობიერება; ლექსის ავსება პოლინიფორმაციულიობით - მოტივთა შერწყმა; სიტყვის სემანტიკის გასაოცარი შეგრძნება; ყოფითი სურათების მძლავრობა და მოვლენათა ქვეტექსტური ხედვა. ამ პოეტური სამყაროსათვის უცხოა მეტაფორული კლიშეები, ნახმარი მეტაფორების კომბინირება და „ჭკუის მარგებელი“ ინტერპრეტაციები. აქ ყველაფერი ახალია, საკუთრივ ავტორისაა, ანუ ორიგინალური. ამ პოეტური მეტყველების მხატვრულ-სათქმელური თავისებურებების წარმოჩენა ცალკე ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის საგანია, რაც წინამდებარე მიმოხილვით ტექსტის ფორმატს უდავოდ სცილდება (ამაზე სხვაგან და სხვა დროს...), აქ კი რამდენიმე ასპექტს წარმოვანთებ:

უპირველესი, რასაც რეზო სტურუას მხატვრულ მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, უჩვეულო, მოულოდნელი შედარებების და გაშლილი მეტაფორების, ზმნური მეტაფორების, მეტაფორული ეპითეტების სიუხვევა, სადაც დიდზე დიდი ნაწილი ინდივიდუალურ-საავტოროა, მცირე - უზუალური, თუმცა ეს უზუალურიც ორიგინალურად არის წარმოსადგენი. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

- გამოილი ზმნური მეტაფორა: „მზე ულიმის დამენათვე დაღლილ ქალაქს, ხარისხზე შემომგდარა დილა“, რომელიც ეპითეტურ მეტაფორასაც შეიერთებს („დამენათვე, დაღლილ ქალაქს“); აქვეა კიდევ ერთი ზმნური მეტაფორა: „... სანამ ზღვაში დაუღრჩვია თავი მზეს და ხარისხზე შემომგდარა ღამე“ (ლექსი „ერთი დღე ბათუმში“).
- „თამადამ სიტყვას აპკიდა ურგასისხლი ძარღვებში გვეთენებოდა, დრო ჩაენვია ბახუსს სანოლში, ღამე ურჩობდა, არ თენდებოდა.“ (ივერი ფრანგიშვილის მოგონების სადღეგრძელოზე“).

როგორც ვხედავთ, აქ მთლიანი სტროფა გაშლილი ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორა, რომელიც ერთბაშად ოთხი ზმნური მეტაფორით არის გასრულებული.

● მსგავსად არის გამართული შემდეგი გაშლილი, ამკარად ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორა, რომელიც ასეთსავე შედარებას შეიცავს: „თავგადასული გიჟობის წლები, შენგან რომ დღესაც ზღაპრებს ელიან, ტანგოს მაგით მთვრა-

ლი ქალიმავ ბებერ მკლავზე დაგინენია“ („მოხუცი და ტანგო“).

● ინდივიდუალურ-საავტორო გაშლილი მეტაფორაა (რომელიც ეპითეტურ მეტაფორასაც შეიცავს) რ. სტურუას პოეტური თქმა: „ღამე, ურცხვობით სირცხვილნაჭამი, ფეხაქრეფილი მიიპარება“ („არ მეჩქარება“). აქვე ყურადღებას იპყრობს შემდეგი ზმნური მეტაფორაც: „მზე მოგორაობს ცაზე ნვალვით“.

● გასაოცარი გამოილი, ზმნური მეტაფორისაგან შედგენილი მეტაფორები გვეხიანება ლექსში „ლხინი კახელებთან“. დაეკვირდეთ:

„ყანის პირზე შეისვენა მუზამ, რქანითელში აბანავებს ბრჭყალებს, უპაჭუნებს თვალებს შემპარავად ცხელ თონესთან მოფუსფუსე ქალებს“. აქ ამკარა ტროპების თანადაქვემდებარებით მხატვრული სურათის ხატვის ტენდენცია, რადგან მთელი ლექსია არსებითად გაშლილი მეტაფორა.

მსგავსი როპებით იმდენად გაჯერებულია რეზო სტურუას პოეზია, რომ მათი სტატისტიკური თავმოყრა-წარმოჩენაც კი შორს წაგვიყვანდა. ეს ყველაფერი, როგორც ითქვა, ცალკე განხილვას საჭიროებს.

ჭეშმარიტ პოეზიას მკითხველის გულბთან შუამავალი არ სჭირდება. ამას რეზო სტურუას ლექსების გაცნობა უთუოდ ცხადყოფს. წარმოდგენილი მიმოხილვა და ცალკეული ლექსების ინტერპრეტაციები რ. სტურუას პოეტური სამყაროს ერთი ნაკითხვისა და გააზრების ცდაა. დარწმუნებული ვართ, ამგვარი ნაკითხვები მომავალში იმ სერიოზულ კვლევაში გადიზრდება, რასაც ეს პოეზია იმსახურებს; მით უფრო, რომ მის ავტორს უჩვეულო შემოქმედებითი აღმადრენის ყამი უდავად: ყოველ ცისმარე დღეს ეს მხატვრული სამყარო გასაოცრად კარგი ლექსებით მიდირდება. ამ გასაოცარი პოეტური ხმანობის ერთი დადასტურებაა ლექსი „თეთრი საყელო“, რომელიც იმ დღის მეორე დილას შეიქმნა, როდესაც რეზო სტურუამ გამოცემლობას გადასცა თავისი ახალი პოეტური კრებული. ამ ლექსში ქართველი პროფესორის ყოფა-ცხოვრების იმ მხარეს ამზეურებს, რომელსაც არა მარტო „არ ამჩნევენ“, არამედ საუბარსაც კი გაურბიან.

წარმომდგენია, როგორ იქმნება რ. სტურუას ახალი ლექსები ახლაც, ამ სტრიქონების წერის მომენტში... ისიც ცხადია, რამდენი კარგი პოეტური თქმით გამოიდრდება მისი მხატვრული სამყარო ჩვენი ამ წერილის გამოქვეყნებამდე. ეს ყველაფერი კი, რასაკვირველია, იმასაც ცხადყოფს, რომ მკითხველს რეზო სტურუას პოეზიასთან არა ერთი საინტერესო შეხვედრა ელის.

თეიმურ ჯაბოღნიშვილი,
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულების პროფესორებმა და ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალის ექიმებმა, შუახევის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მმართველობის ქვეშ არსებულ შუახევის რაიონული ჰოსპიტალის ბაზაზე უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაატარეს. აქციის ფარგლებში შუახევის ხეობის - დაბის, ჭვანის, ბარათაულის, ნყალსაყრის, ზამლეთის, უჩაბბის, დღვანის, ოლადაურის, შუბნის თემების მოსახლეობას უფასო სამედიცინო გასინჯვა, რენტგენოლოგიური გამოკვლევები და დამატებითი დიაგნოსტიკა (თერაპიის, პედაიატრიის, კარ-

დიოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, უროლოგიის, ალერგოლოგიის, ქირურგიის, რევმატოლოგიის, ანგიოლოგიის, ონკოლოგიის, რადიოლოგიის, ოფთოლმოლოგიის, მამოლოგიის, ნევროლოგიის, ოტორინოლარინგოლოგიის, ტრავმატოლოგიის, დერმატოვენეროლოგიის, გინეკოლოგიის, ორთოპედიისა და სტომატოლოგიის) მიმართულებით ჩაუტარდა. შუახევის თემების ამბულატორიებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ უფასოდ პირველადი საჭიროების მედიკამენტები გადასცა.

უნივერსიტეტის პროფესორებმა სოციალურად დაუცვალი სტუდენტების დასახმარებლად საქვალმოქმედო აქცია გამართეს

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასახმარებლად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა „McDonald's“-ის თანამშრომლის ფუნქციები შეითავსეს. პროფესორ-მასწავლებლები შემოსული თანხით იმ სტუდენტებს დაეხმარებიან, რომლებმაც სწავლის საფასურის გადახდა ვერ შეძლეს. საქველმოქმედო აქცია „სტუდენტური დღე“ მომავალ შაბათსაც გაიმართება.



ამბობენ, „რამდენი ადამიანიც არის, იმდენი ჭკუა და აზრიაო“. ეს ბუნებრივია, მაგრამ ადამიანთა გარკვეული წრისათვის არ არსებობს პირადი ამბიციები და მისი აზრები მხოლოდ საზოგადოების საერთო ინტერესებთან არის დაკავშირებული. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება გეოგრაფიის დეპარტამენტის მასწავლებელი რევაზ სოლომონიძე. ამ ადამიანისათვის სიკეთე, სიღირსე, სიბრძნე, გულისხმიერება, შინაგანი ნესრიგი და ინტელიგენტობა ბუნებისაგან ბოძებული ჯილდოა. ერთი შე-

მნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ველარ ახერხებს დაცვას.

რ. სოლომონიძე ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში და მცენარეთა ფიზიოლოგიაში ლექციებს კითხულობს. ამავდროულად პარალელურად მუშაობდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტის გეოგრაფიის მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელად. მან ამ თანამდებობაზე ინდივიდუალური მეთოდური მიდგომით რეგიონში გეოგრაფიის სწავლებაში ბევრი სიახლე და ინციფტივა დანერგა. ამავდროულად ქალაქ ბათუმის #20 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა.

რ. სოლომონიძე 2004 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში. მიჰყავს ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის კურსები გეოგრაფიისა და დაწყებითი განათლების სპეციალობებზე. პარალელურად არის თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტი-



რევაზ სოლომონიძე 60 წლისაა

ხედვით წყნარი, მაგრამ თავისი სიტყვაკაზმულობით და მომენტისათვის მორგებული კაფიობით გამორჩეული პიროვნებაა.

რევაზ სოლომონიძე მთის შვილია. იგი 1954 წლის 8 ივნისს ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილებში დაიბადა. მშობლიურ სოფელში მიიღო არასრული საშუალო, ხოლო დაბა ხულოში საშუალო განათლება. 1973 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით 1978 წელს დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ხულოს რაიონის თავის და დიაკონიძეების სკოლებში გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებლად. ნიჭიერმა და თავისი საქმისადმი შეყვარებულმა ახალგაზრდა პედაგოგმა მალე განათლების სისტემაში ავტორიტეტი მოიხვეჭა და რაიონის განათლების განყოფილების გეოგრაფიის ინსპექტორად დაინიშნა.

რ.სოლომონიძე 1988 წელს მშობლიური სოფლის ოქრუაშვილების საშუალო სკოლის დირექტორად ინიშნება, სადაც 1995 წლამდე მუშაობდა. მან ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი და მალე სკოლა მონიშნავდა შორის აღმოჩნდა. ინტელექტით დაჯილდოვებული ახალგაზრდა კაცისათვის ზოგად საგანმანათლებლო სისტემა საკმარისი არ იყო და გადაწყვიტა თავისი შესაძლებლობები მეცნიერებაშიც მოესინჯა. იგი 1982-1986 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. დასაცავად მოამზადა საკვალიფიკაციო თემა "შიდამთიანი აჭარის ინტროდუქციური მცენარეების გადამზამთრების ფიზიოლოგიური თავისებურებანი", მაგრამ ქვეყანაში შექ-

ტუტის ბათუმის სტაციონარის მეცნიერ-მუშაკი. აქ ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და კლიმატოლოგიის მიმართულებით მომზადებული აქვს საკვალიფიკაციო თემა. ამასთან, სტაციონარს იყენებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიზნითაც.

რ. სოლომონიძეს სადაც უმუშავია, ყველგან თავისი კვალი აქვს დატოვებული, რადგან იგი საქმეს დიდი რუდუნებით, სიღმისეულად და სიყვარულით უდგება. მისი საქმიანობის მთავარი ნიშა ისაა, რომ მასზე დაკისრებულ დავალებას დროულად და ხარისხიანად ასრულებს. მისი სამუშაო მაგიდა და საქმიანი ქაღალდები მუდამ მოწესრიგებულია, რაც გამრჯე და "აკურატული" ადამიანის საქმიანობაზე მიუთითებს. მას განსაკუთრებით უყვარს სტუდენტები და მათთან აქვს კარგი მეგობრული დამოკიდებულება, ხოლო კოლეგებთან მუდამ ღია და თავაზიანია.

რ. სოლომონიძეს სანიმუშო ოჯახი ჰყავს. მეუღლე- გუგული სოლომონიძე პედაგოგია, ხოლო სამივე შვილს უმაღლესი განათლება აქვთ. იგი თავისუფალ დროს შვილიშვილების აღზრდითა დაკავებული და მათში ხედავს მისი ცხოვრების ძირითად არსს.

გეოგრაფიის რეპარტამენტის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ახალგაზრდობა დიდი სითბოთი ულოცავენ ბატონ რევაზ სოლომონიძეს დაბადების 60 წლისთავს, უსურვებენ მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

ჩვენო რეზო! უფლის წყალობა და მეფარველობა არ მოგკლებოდეთ.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი მ. ფუტყარაძე

მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან

თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულება ახალი სამეცნიერო მიმართულებების - სემიოტიკის პოპულარიზაციასა და ერთობლივი კვლევების წარმოებას ითვალისწინებს.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სემიოტიკის კვლევითი ცენტრი ერთობლივად ჩაატარებენ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, საზაფხულო სკოლებს, შემოქმედებით კონკურსებსა და კულტურულ ღონისძიებებს. პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობას მიიღებენ სემიოტიკის სილაბუსების შედგენაში.

სამინარი თემაზე: „ქართვალ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამინარი ჩატარდა თემაზე: „ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“. უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ და მკვლევარმა რუსლან ბარამიძემ სტუდენტებს გააცნეს შოთა რუსთავე-



ლის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტის „ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“ (საგრანტო ხელშეკრულება №57/06) ფარგლებში წარმოებული კვლევის შედეგები. პროექტი მიზნად ისახავს თურქეთის რესპუბლიკაში ქართული მუსლიმური მემკვიდრეობის გამოვლენასა და შესწავლას. 2014 წლის 8-17 მაისს, პროექტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში (ისტორიული ტაოკლარჯეთი) მოენყო პირველი ექსპედიცია. ექსპედიციამ გამოავლინა 20-მდე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა ნაწილი შესულია თურქეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

შამოქმედებითი საღამო „შა, რომლის წვიამა გადაიყოლა“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ რეზო სტურუას შემოქმედებითი საღამო „მზე, რომელიც წვიამა გადაიყოლა“ გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საღამოზე პროფესორ-მასწავლებლებმა და მწერლებმა მეცნიერის პოეზია შეაფასეს, ხოლო ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა მისი ლექსები წაიკითხეს. ღონისძიების დასასრულს ავტორმა საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება გააცნო და წიგნი „მზე, რომელიც წვიამა გადაიყოლა“ წარუდგინა. ლექსების კრებული გამომცემლობა „მოაზროვნე“ გამოსცა და მასში პროფესორ რეზო სტურუას ბოლო პერიოდში შექმნილი 100 ლექსია შესული. შემოქმედებითი საღამო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა.





ბამბუკს, როგორც მარადწმინდს და ლამაზ მცენარეს, მასობრივად იყენებენ დეკორაციულ მებაღეობაში, იგი თავისი მკვრივი და ხშირი ფესურებით მნიშვნელოვნად იცავს ნიადაგს ეროზიისაგან.

ბამბუკის მოსავალს გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე იღებენ. მაშინ, როდესაც მეცხოველეობა განიცდის მწვანე საკვების დეფიციტს, ამ დროს კი ბამბუკის ფოთლები ყუათიანი საკვებია ცხოველებისათვის. ბამბუკისაგან მზადდება მეტად ლამაზი, მსუბუქი და მოხდენილი ავეჯი. ჩვენთან არის ყოველგვარი შესაძლებლობა იმისა, რომ ბამბუკისაგან დამზადდეს საუცხოო ავეჯი და იგი გავიცნაოთ მსოფლიოს ბაზარზე, რითაც აღვნიშნავთ მცენარეს შუბლით გარკვეული წვლილის შეტანა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ბამბუკის კულტურის განვითარებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი პლანტაციების ფართობმა 50-იან წლებში 3 ათას ჰექტარს გადააჭარბა, მაგრამ შემდგომში თავი იჩინა ინტროდუქციისა და გაშენების პირველ პერიოდში დაშვებულმა შეცდომებმა, მოვლითი აგროტექნიკის დაბალი დონე და ნარგავების უსისტემო, მტაცებელი ექსპლუატაცია, რამაც გამოიწვია ბამბუკის ფორმების დასუსტება და განადგურება. დღეისათვის ჩვენში ბამბუკის ნარგავები ვერ აკმაყოფილებს მის ნედლეულზე გავრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ დაისვა საკითხი მისი ფართობის აღდგენისა და გაფართოების შესახებ.

დასავლეთ საქართველოში მრავალდროის იქმნება აუთვისებელი, თავისუფალი ფართობები, რომლებიც უფარგისა ან ნაკლებად გამოდგება სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის. ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ ამ კულტურის ნედლეულსა და პროდუქ-



ბამბუკის ხელახლა

ცვალები, ნაყოფები, ფესურები და ფესვეები.

ყვავილი ორქვებისა, პატარა ზომის ნაყოფი ძლიერ ნაგავს შერის მარცვალს, დაფქვისას დაბალი ხარისხის ფქვილს იძლევა.

ბამბუკის ფესვთა სისტემა შედგება ფესვებისა და ფესურებისაგან. ფესურა ღეროს სახეცვლილება და ისე როგორც ღერი, ივითარება მუხლებს, მუხლათაშორისებს და კვირტებს.

შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ფიბრისტაბისის და არუდინარიას გვარის ზოგიერთ სახეობას. ბამბუკი ბუნებრივ პირობებში

და ყვითელმინა, ასევე სუსტ საშუალო ენერჯი და ალუვიურ ნიადაგებზეც.

მსხვილეროიანი ბამბუკები: მოსო, იაპონური და ჩინური მადაკე, მწვანე-ცისფერი და სხვა უნდა დარგან 4X4 მ კვების არით, ხოლო წვრილეროიანები: ოქროსფერი, ხაჩიკუ, შავი და ქართული ბამბუკი 3X3 მ კვების არით. ამგვარად, მსხვილეროიანი ბამბუკების გაშენებისათვის 1 ჰა-ზე საჭიროა 625, ხოლო წვრილეროიანებისათვის 1111 ძირი ნერგი.

ბამბუკის პერსპექტიული ჯიშების მოკლე დახასიათება:

იაპონური მადაკე - ღერი სწორი და მალაღია, სიმაღლით მხოლოდ მოსო ბამბუკს ჩამორჩება და 10-12 მეტრს აღწევს. ფუძესთან დიამეტრიც 6-8 სმ უდრის, ზემოთკენ თანდათანობით წვრილდება. მუხლათაშორისები შედარებით გრძელია 30-50 სმ, საკმაოდ მტკიცე და ელასტიური მერქანი აქვს.

ვეგეტაციის მაისის პირველ დეკადაში იწყებს. მისი ნორჩი ამონაყარი მოგარძო კონუსისებური და მჭიდროდაა ცრუ ფოთლებით დაფარული.

ჩინური მადაკე - ჩინური მადაკე იაპონურთან შედარებით ნაკლები (7-10) მ სიმაღლის იზრდება და მოკლე მუხლათაშორისები აქვს. მისი ამონაყარი მჭიდროდაა დაფარული ცრუ ფოთლებით, რომელთაც შეეხება არ ახასიათებს. შეფთვლა შედარებით მცირე აქვს, დატოვება მეჩხერი.

იაპონურ მადაკეს ჩინურ მადაკესავე სხირად იყენებენ. ჩინური მადაკე ჰექტარზე 5-6 ათას ღეროს იძლევა. მისი სამშობლოა აღმოსავლეთ ჩინეთი. იგი ვეგეტაციის იწყებს მაისის პირველ ნახევარში. ჩინური მადაკე, გარდა ჭარბტენიანისა, ყველა ტიპის ნიადაგზე იზრდება და მათ სხვა სახეობებთან შედარებით, ნაკლებ მოთხოვნილებას უყენებს, კოლხეთის დაბლობ-ბში აღმოცენდება მაისის მეორე დეკადაში.

მოსო ბამბუკი - ბამბუკის ეს სახეობა ყველაზე მსხვილეროიანი ბამბუკებს შორის, სიმაღლით 15-20 მეტრს, ხოლო დიამეტ-

ნიადაგზე ცუდად ვითარდება, დაბალი იზრდება და გამრავლების სუსტი უნარით ხასიათდება. იგი კარგად ვეგუბა სანაპიროსთან განლაგებულ დაბლობებს და მცირე დაქანების პირველად და მეორეულ ტერასებს. ამის დამადასტურებლად შეიძლება მივიჩნიოთ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გაშენებული მოსო ბამბუკის საუცხოო კორომები, რომლებიც ისე ლაღად იზრდებიან, რომ მის მნახველს ბამბუკის სამშობლოში ეგონება თავი.

ოქროსფერი ბამბუკი - ამ სახეობაში შევავალი ფორმებისათვის დამახასიათებელია მომწიფებული ღეროს ოქროსფერი შეფარვა. შედარებით დაბალი ზრდის ენერგიით ხასიათდება, 5-8 მეტრამდე სიმაღლის. ოქროსფერი ბამბუკის სამშობლოა ჩინეთი და იაპონია. მოსავლის აღება სასურველია სავიგეტაციო პერიოდის დამთავრების შემდეგ, თოვლის მოსვლამდე.

მწვანე-ცისფერი ბამბუკის სამშობლოა ჩინეთი. ის განსაკუთრებით კარგად ხარობს ხეებში, მდინარისა და ღელის ნაპირებზე.

ქართული ბამბუკი - ანასიელის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა აკადემიკოს შოთა გოლიაძის ხელმძღვანელობით 1968 წელს იაპონური მადაკეს გენერაციული პოპულაციიდან შეარჩიეს და გამოიყვანეს ბამბუკის ახალი ფორმა «ქართული ბამბუკი». ქართული ბამბუკი ვეგეტაციის იწყებს კოლხეთის დაბლობის პირობებში მაისის შუა რიცხვებიდან და ამთავრებს ივნისის პირველ დეკადაში.

სიმაღლით 6 მეტრამდე და უფრო მეტს იზრდება. მუხლათაშორისების რაოდენობა საშუალოდ 30-35 ცალია. ქართული ბამბუკი პერსპექტიული ბამბუკის სახეობაა, რომლის გაშენება და ექსპლუატაცია თავისუფლად შეიძლება დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში.

შავი ბამბუკი - წარმოშობით ჩინეთიდან და იაპონიიდანაა. ის შედარებით დაბალია, მისი სიმაღლე 5-7 მეტრამდე აღწევს. ღეროს

მწვანე-ცისფერი ბამბუკი - ამ სახეობის ბამბუკის ახალმოყვრილი ღერი მუქი მწვანე ფერისაა, შემდეგ კი თანდათანობით ყვითლდება. ჩვენში საკმაოდ მაღალია და 10-12 მ-ს აღწევს, ზოგჯერ კი 18 მ-მდეც იზრდება. ვეგეტაციის იწყებს ადრე გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში. საკმაოდ ყინვაგამძლეა, უძლებს 18 გრადუსამდე ყინვას. მერქანი საკმაოდ მტკიცე აქვს. ძლიერ შეფოთლილია, რის გამოც კოლხეთის ზონაში ხშირად ზიანდება თოვლისაგან, ამიტომ ღეროს მოსავლის პირველ ნელსევე შეფერილობას ღებულობს.

პლანტაციის ექსპლუატაცია: ბამბუკის ღერი მომწიფებულად ითვლება სამი სავიგეტაციო პერიოდის შემდეგ. დაუმწიფებელი მერქნის აჭრა დაუშვებელია, რადგანაც ღეროს სიმტკიცე ვერ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

ღეროს აჭრის საუკეთესო დროა შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე. ბამბუკის ღეროები შეიძლება აიჭრას ბალის ხერხით, ბენზინის ან ვლექტრო ენერჯის ძრავაზე მომუშავე მექანიკური ხერხით, ნიადაგის ზედაპირიდან 5 სმ სიმაღლეზე. სწორად. ღეროები ერთი კვირის მანძილზე უნდა დარჩეს ტოტებგაუცვლელი, რათა ღერობიდან ფოთლების საშუალებით ტენი თანაბრად აორთქლდეს და არ გამოიწვიოს ღეროების დეფორმაცია და დასკობა. შემდეგ, ღეროებს ტოტებს აცლიან ღეროს დაუზიანებლად და კრავენ, რათა გაადიტანონ მზის პირდაპირი მოხვედრისაგან დაცულ ფარულეებში, მათი მინაზე დაწყობა დაუშვებელია.

გასუფთავებული ღერი გრიფი მეტრებში იყიდება. ახალმოყვრილ ღეროებს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი ფორმა, რისთვისაც სანამ მთლიანად გამოშრებოდეს, ბამბუკის ღეროს ახურებენ, ცხელ ორთქლი ატარებენ, ღეროს დიამეტრის მიხედვით ორთქლის მოქმედება 15 წუთიდან 1 საათამდე გრძელდება. ცხელღეროს აძლევენ სასურველ ფორმას, გაცივების შემდეგ ღერი რჩება იმ ფორმის, რაც გაცხელებულს მისცეს. გარდა ამისა, გაცხელებისას ბამბუკის ღეროს ზეთისაგან რისივირება ხდება, რაც მის ზედაპირს ბზინვარებას ანიჭებს. ასეთი ზეთი დამუშავებული ბამბუკის ღერი უფრო მაგარია და გამძლეა. გაცხელებული ბამბუკის ღეროებისაგან ამზადებენ სასურველ ინვენტარს, ავეჯს და სხვა.

პლანტაციის მოვლა: ბამბუკის ღეროების მალალი მოსავლის მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლანტაციის კარგ მოვლას. სავიგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნიადაგი ბამბუკის რიგთაშორისებში უნდა იყოს შავად ხნულის მდგომარეობაში, აბუშავებენ. ზედაპირულად 4-5 სმ სიღრმეზე.

ამასთან საჭიროა ნიადაგი დამუშავდეს ზამთრის თვეებში 1 მარტამდე. დამუშავება შეიძლება აგრეთვე ზაფხულის თვეებში ბამბუკის ახალგაზრდა ამონაყარების დამთავრების შემდეგ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სახეობების მიხედვით სხვადასხვა დროს ხდება ბამბუკის ამონაყარის გამოჩენა, მოსოს ბამბუკი უფრო ადრე იწვეთარებს ღეროს, ვიდრე მადაკე და სხვა.

პლანტაციაში დარგვიდან მეორე წელს, ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებისათვის ნიადაგი უნდა შევიტანოთ მინერალური და ორგანული სასუქების და გადაბარონ 20-25 სმ სიმაღლეზე. დარგვიდან მესამე წელს, ორობებში ჩარეული მცენარეების ირგვლივ ნიადაგი უნდა დაამუშაონ ბუნებრივად 1,5 მ-ის რადიუსით ისე, რომ ნინა წელს დამუშავებულ ფართობს ხელი არ ახლოს და არ დაზიანონ იქ გავრცელებული ფესურები.

დარგვიდან მეოთხე წელს უნდა დაბარონ დაუმუშავებლად დარჩენილი ყველა ადგილი. მეხუთე წელს ციცაბო ფერდობებზე მთლიანი დაბარვა უნდა შეწყვიტოს და მხოლოდ ის ადგილები დაბარონ, სადაც ფესურები ვერ კიდევ არ გავრცელებულა. პლანტაციის შეკვრის შემდეგ ნიადაგი საერთოდ არ უნდა გადაბარონ.

გაშენებიდან მეორე წელს, ბამბუკების ვეგეტაციის დაწყებამდე ასეთ ადგილებში, სადაც მეჩხერიანობა დიდია, გამოიგვა უნდა ჩაატარონ, რომელიც ისეთი წესით ტარდება, როგორც პლანტაციის გაშენების დროს.

გიორგი ჯაბანიძე,
სოფლის მეურნეობის
აკადემიური დოქტორი



ციაზე მზარდი მოთხოვნილება და გააშენონ ბამბუკის კულტურა, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა.

ბამბუკის სამშობლოდ ტროპიკულ აზიას და სამხრეთ ამერიკას თვლიან, სადაც იგი იზრდება როგორც ხე-მცენარე. აქედან დიდი ხნის შემდეგ გავრცელდა ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში, სადაც შეიქმნა მისი მრავალი სახესხვაობანი.

საქართველოში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ბამბუკი პირველად შემოიტანეს გასული საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ ევროპიდან და გამოსაცდელად დარგეს სოჭში, სოხუმში, ბათუმში, თბილისის ბოტანიკურ ბაღსა და ალაზნის ნაპირებზე.

საქართველოში ბამბუკის ძირითადი მწარმოებელი რაიონებია: ქობულეთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ნალენჯიზა, ლანჩხუთი და სხვა. სახეობების მიხედვით ბამბუკის ნარგავობათა აღწერის მიხედვით ბამბუკის ფორმები ძირითადად შედგება სამი სახეობისაგან: ჩინური და იაპონური მადაკეს უჭირავს ფართობის 90,8%, ხოლო მოსოს 9,2%.

ბამბუკი შედის მარცვლოვანთა ოჯახში და ბამბუკების ქვეოჯახში. ცნობილია ბამბუკის 48 გვარი, მათი 600-მდე სახეობა გამოყოფილი და აღწერილი. თავის სამშობლოში, ტროპიკული კლიმატის პირობებში, იზრდება ხე-მცენარედ 35 მეტრამდე სიმაღლითა და 30 სმ-ზე მეტი სიხისით.

სუბტროპიკული კლიმატის პირობებში გავრცელებულია შედარებით საშუალო სიმაღლის 25-მდე ხე. ბამბუკი მარადწმინდს მცენარედ, მისი ძირითადი ორგანოებია: ღერი, ტოტები, ნამდვილი და ცრუ ფოთლები,

თესლითა და ფესურებით მრავლდება.

ვეგეტაციის მიხედვით ბამბუკები ორ ჯგუფად იყოფა: შემოდგომის და გაზაფხულის ზრდის. შემოდგომის ზრდის ბამბუკები ზრდას იწყებენ შემოდგომაზე და ზამთარს მოუშვადებელი ხვდებიან, რის გამოც მათი ყინვაგამძლეობა დაბალია, მათი გავრცელება ტროპიკებში და სუბტროპიკული ზონის ნაწილში შეიძლება, სადაც ყინვები არ იცის.

ბამბუკის ზრდის პერიოდი მოკლეა, ის 50-60 დღეში ამთავრებს სიმაღლეში ზრდას, ამ დროს განმავლობაში მცენარე თავის სამშობლოში 50 მ-მდე იზრდება, ხოლო ჩვენთან 10-დან 24 მეტრამდე აღწევს. მოსო ბამბუკი დღე-ღამეში 80-100 სმ-დე იზრდება. ჩინეთში ასეთი თქმულებაც არსებობს: დღით ბამბუკის ახალ ამონაყარზე ჩამოკიდებულ ქუდს სადამოს მუშა ვერ მიხვდაო.

ალსანიშნავია, რომ ბამბუკი საციცოცხლო ციკლის გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ იწყებს ყვავილობას და ერთი ბამბუკის მთელი ნამრავლი ერთდროულად ყვავილობს.

საუკეთესო შედეგს იძლევა აგრეთვე მობერებული ბამბუკის პლანტაციაში ძველი ფესურების ამოიპოვება-გამოხშირვის და ამოთხრის შედეგად დარჩენილ ორობებში 10-10 კგ გადამწვარი ნაკვლის შეტანა.

ფესურები განსაკუთრებით დიდ მოთხოვნას ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს უყენებს, კარგად ხარობს ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. ფერდობების გამოყენებისას უმჯობესია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კალთები, ზღვის დონიდან 400-500 მ სიმაღლეზე. ისინი კარგად იზრდებიან ნითელმინა



რით ფუძესთან 8-16 სმ აღწევს, მოსო ბამბუკის ღერი ფუძესთან ოდნავ მოხრილია, აქ მუხლათაშორისები მეტად მოკლე აქვს, შემდეგ სწორად იზრდება. ნამდვილი ფოთლები ბამბუკის სხვა სახეობებთან შედარებით წვრილი აქვს.

მოხუცდევად იმისა, რომ მოსო ბამბუკი ზრდის პერიოდში ნალექებისა და ტენის დიდ მომთხოვნიია, იგი ვერ იტანს ჭარბ ტენსა და სიმშრალეს, ტენიან და ზედმეტად მშრალ

ბუნებრივი შავი ფერის გამო იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში და ავეჯის დასამზადებლად.

შავ ბამბუკს უყვარს ქარებისაგან დაცული და მზით კარგად განათებული ადგილები, კარგად ხარობს ნითელ-მწვანე ენერ ნიადაგზე. შავი ბამბუკის სახესხვაობად მიიჩნევენ შავინწინებთან ბამბუკს, რომელიც ჩვენში მეტად მკვიფრ რაოდენობით გვხვდება. ესეც გამოიყენება ავეჯის დასამზადებლად.

კალაქპორი:
იოსებ სანიძე
საუბილისტი:
ნესტან მამუჭაძე



საკადაქმო ქოჯია:
ნანა მახსულაია
ივანე შაილიშვილი
ნათია ნიქაშვილი
ნიკოლოზი
მეგრია გოგოშაია
დავით პაპიაშვილი
გურამ ჩაბანაია
მითა მამუჭაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7